პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1977 ოთხშაბათი 23 მარტი № 68 (16805) ფასი 2 კაპ. 1977

შარშანდელი და მიმდინარე წლის პირველი ორი თვის შედეგები მოწმობს, რომ ქვეყანა კვლავ მტკიცედ მიიწევს XXV ყრილობის კურსით. მაგრამ გასაკეთებელი ბევრი, ძალზე ბევრი გვაქვს. ეს კი, რა თქმა უნდა, მთლიანად ეხება პროფკავშირებსაც, რომელთა წლევანდელი უპირველესი მოვალეობაა აქტიურად დაუჭირონ მხარი დიდი ოქტომბრის მესამოცე წლისთავის აღსანიშნავად გაჩაღებულ შეჯიბრებას.

ლ. ი. ბრეჟნევი.

# ნათელი, შთამაგონებელი

## საქართველოს მშრომელები ერთსულოვნად იწონებენ პროფკავშირთა XVI ყრილობაზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვას და ახალ გადიდებულ ვალდებულებებს კისრულობენ დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის



## წარმატებული შრომის სტიმული

აი თბილისის ფეხსაცმელების ფაბრიკა „ისანში" მუშაობა დაამთავრა პირველმა ცვლამ... მუშა-მოსამსახურეები ეზოში იკრიბებიან და ერთმანეთს აცნობენ თავიანთ შთაბეჭდილებას, რაც მათზე პროფკავშირების XVI ყრილობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვამ მოახდინა. სწორედ ეს კმაყოფილება აისახა გუშინ სახელდახელო ხალხმრავალ მიტინგზე, რომელიც პარტიული კომიტეტის მდივანმა ვ. საღიბეკოვმა გახსნა.

— ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ღრმაშინაარსიანი სიტყვა ნათლად გვიხატავს ქვეყნის ეკონომიკის განვითარების გზებს, საერთაშორისო მდგომარეობას თანამედროვე ეტაპზე, ამიტომ იგი ჩვენი შემდგომი მუშაობის დიდებული სახელმძღვანელოა, — ამბობს გამომჭრელთა ბრიგადის ხელმძღვანელი, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი გ. რიმნისთაველი. ბრიგადაში ავწონ-დავწონეთ ჩვენი შესაძლებლობები და გადავწყვიტეთ დავზოგოთ 350.000 კვადრატული დეციმეტრი ტყავი 130.000 კვადრატული დე-

**თბილისის ფეხსაცმლის ფაბრიკა „ისნის" მუშა-მოსამსახურეთა მიტინგი**

ციმეტრის ნაცვლად, პირველ ნოემბრისათვის შევასრულოთ წლიური დავალება წინათ ნაკისრი 7 ნოემბრის ნაცვლად, გადაჭრით გავაუმჯობესოთ პროდუქციის ხარისხი და ღირსეულად შევხვდეთ დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავს.

მეორე სამკერვალო საამქროს ინჟინერ-ნორმავმა, საამქროს პარტორგანიზაციის მდივანმა ც. სამადაშვილმა განაცხადა: „ყველაფერი საუკეთესო — ბავშვებს!" — ამ დევიზით შრომობს ჩვენი საამქრო. მაღალი მაჩვენებლებისათვის გარდამავალი წითელი დროშით დაგვაჯილდოვეს, საამქრომ კომუნისტური შრომის კოლექტივის წოდება დაიმსახურა. ამით აღფრთოვანებულნი, ჩვენ ხუთწლედის მეორე წლის პირველ კვარტალსაც წარმატებით ვამთავრებთ.

— სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი თავის ღრმაშინაარსიან, მკაფიო სიტყვაში დიდ ყურადღებას უთმობს შრომის დისციპლინის განმტკიცებას, სამუშაო დროის ეფექტიან გამოყენებას, ნედლეულის ეკონომიას, — ამბობს საფაბრიკო კომიტეტის თავმჯდომარე ბ. ჯულუხიძე, — ჩვენი პროფკავშირული ორგანიზაციის ვალია ყურადღება გავამახვილოთ შრომის, საწარმოო და ტექნოლოგიური დისციპლინის განმტკიცების საკითხებზე, დამრიგებლობის მოძრაობის გაფართოებაზე. და მაშინ განვახორციელებთ პარტიის მოწოდებას პროდუქციის ხარისხისა და ეფექტიანობის ამაღლებისათვის.

მიტინგის მონაწილეებმა ქარხნის კოლექტივის, ხოლო გ. რიმნისთაველმა გამომჭრელთა ბრიგადის სახელით მისასალმებელი წერილები გაუგზავნეს პროფკავშირთა XVI ყრილობას.

ე. მამალაძე.

• • •

**სურათზე:** ტრიბუნაზეა ფაბრიკის გამომჭრელთა ბრიგადის ხელმძღვანელი გ. რიმნისთაველი.

ხ. კილაძის ფოტო.

## ახალი შემართებით ვუპასუხებთ

ამ დღეებში ზედიზედ მოდის სასიხარულო ამბები ჩვენს საწარმოში. ახლახან სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა მისასალმებელ წერილში მე და ჩემს ამხანაგებს გვისურვა ახალი წარმატებანი დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის შეჯიბრებაში, მეათე ხუთწლედის გეგმების ვადამდე შესრულებისათვის ბრძოლაში. ახლა კი ვეცნობით ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის სიტყვას სსრ კავშირის პროფკავშირთა XVI ყრილობაზე და დიდი კმაყოფილებით ვკითხულობთ ჩვენდამი, უბრალო მშრომელი ადა-

**შ. ნატროშვილი,**

**კასპის ცემენტის ქარხნის შიფერის წარმოების მემანქანე.**

მიანებისადმი ყურადღებით გამსჭვალულ თვითეულ სიტყვას.

რა შესანიშნავად თქვა ლეონიდ ილიას-ძემ: „პარტიამ წინა პლანზე დააყენა საბჭოთა ადამიანების ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის ამაღლების ამოცანა. მან ათასობით პრაქტიკული საქმის სიბრტყეს მიუსადაგა ჩვენი საპროგრამო ლოზუნგი: „ყველაფერი ადამიანისათვის, ყველაფერი ადამიანის კეთილდღეობისათვის!"

პარტიის ამ ზრუნვის პასუხად, ლეონიდ ილიას-ძის სიტყვის, მისი მისასალმებელი წერილის პასუხად ჩემმა ბრიგადამ გადაწყვიტა გეგმის გადაჭარბებით დაამზადოს 150 ათასი პირობითი ფილა შიფერი, ეს 50 ათასით მეტია, ვიდრე წლის დამდეგს ვიკისრეთ. დიდ ყურადღებას დავუთმობთ პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებასაც. ჩვენი ლოზუნგი გახდა: „არ გვექნება არც ერთი უხარისხოდ დამზადებული ფილა". ამ მიზნის მისაღწევად გავაძლიერეთ კონტროლი ტექნოლოგიური პროცესისადმი, მივაღწიეთ, რომ ჩვენთან მხოლოდ მაღალხარისხოვანი ნედლეული მოდის.

## ქვეყნის საკეთილდღეოდ

ჩვენი კოლმეურნეობის ყველა წევრი დიდი კმაყოფილებით შეხვდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვას პროფკავშირების ყრილობაზე.

განსაკუთრებით ჩაგვწვდა გულში ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის სიტყვები იმაზე, რომ „საბჭოთა ადამიანი თავისი ქვეყნის ბატონ-პატრონია. იგი საზოგადოების ძლიერებისა და სიმდიდრის ერთადერთი შემოქმედია. ჩვენში ხალხის გარდა არავის არ მიუწვდება ხელი საზოგადოებრივი შრომის ნაყოფზე. მაგრამ არც ჩვენს მაგივრად იშრომებს არავინ. ეს ნიშნავს, ყოველმა ჩვენგანმა ისე უნდა ვიშრომოთ, რომ შემდეგ საკუთარი თავის

**ა. ტოროტაძე,**

**მახარაძის რაიონის სოფელ ლიხაურის კოლმეურნეობის მეჩაიე, სოციალისტური შრომის გმირი.**

არ შეგვრცხვეს, შევძლოთ ალალი გულით გავუსწოროთ თვალი ამხანაგებს".

შარშან ჩვენმა რაიონმა მთელი წლების მანძილზე ჩაის ფოთლის ყველაზე დიდი მოსავალი მიიღო. წელს კი ვიბრძვით, რათა კიდევ უფრო მეტი — 60.300 ტონა მივიღოთ გეგმით გათვალისწინებულ 55 ათასი ტონის ნაცვლად. დანაპირების შესრულება ადვილი არ არის, მაგრამ ჩვენი სიტყვა და საქმე მუდამ ერთია. ჩვენ რესპუბლიკაში პირველებმა ვუპატაკეთ სამშობლოს პლანტაციებში გაზაფხულის წინა სამუშაოთა კომპლექსის შესრულება. ჩაის მოსავალს კარგი პირი უჩანს.

ჩვენი კოლმეურნეობა მეგობრული, შეხმატკბილებული კოლექტივია. ყოველმა ჩვენგანმა კარგად იცის სამუშაო დროის ფასი, გამსჭვალულია სურვილით ღირსეული საქმეებით აღნიშნოს დიდი ოქტომბრის იუბილე. პირადად მე ვიკისრე გადიდებული ვალდებულება — ჩემზე გაპიროვნებული სამი ჰექტარი მიწის თვითეულ ჰექტარზე მივიღო სულ ცოტა ერთი ტონა ხარისხოვანი ფოთოლი, ესე იგი გეგმით გათვალისწინებულზე ორჯერ მეტი.

## „პრავდის" ფურცლებზე

**მამათა გზები...** ნათქვამია 20 მარტის ნომრის მეთაურში („მამათა გზებით"), ისინი ყველგან გადის: საამქროებსა და სამეცნიერო ლაბორატორიებში, ველ-მინდვრებში და ხუთწლედის მშენებლობებზე და სრულიადაც არ არის სავალდებულო ცხრა მთას იქით ვეძიოთ გმირული წარსული. დღე ახალბედებს; შრომით ცხოვრებას რომ იწყებენ, გააცნონ ადგილობრივი მუზეუმის ექსპოზიცია, და მათ უფრო ხშირად ულოცავდნენ გზას ვეტერანები, ხოლო თვით ახალგაზრდები უფრო აქტიურად ებმებოდნენ თავიანთი საწარმოს ისტორიის შესწავლაში.

რუბრიკით „წინამძღვალთა სიქველე". 20 მარტისავე ნომერში პირველ გვერდზე გამოქვეყნებულია „პრავდის" საკუთარი კორესპონდენტის **გ. ლებანიძის** რეპორტაჟი. სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატზე **გივი რიმნისთაველზე („ლაურეატის გვერდით")**, რომელიც ამჟამად სსრ კავშირის პროფესიული კავშირების XVI ყრილობის დელეგატია. აქვე დაბეჭდილია გ. რიმნისთაველის პორტრეტი.

ამავე ნომერში მკითხველი ნახავს ცნობილი რუსი მწერლის **ვალენტინ კატაევის** წერილს — **„მშვიდობა მინდა"**, ი. შატუნოვსკის სატირულ ფელეტონს — **„სატარიფო რომანი"** და სხვ.

21 მარტის ნომერში გამოქვეყნებულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მისალმება სსრ კავშირის პროფესიული კავშირების XVI ყრილობისადმი.

სათაურით — **„ქალაქი მშვენდება"** კორესპონდენტი **გ. ლებანიძე** წერს, თუ როგორ მიემართება მაღლა გლდანის სართულები. აქ ახლახან აშენდა ოთხი ახალი საბავშვო ბაღი, სკოლა 1.320 ადგილით, მთავრდება ტრამვაის ხაზის მშენებლობა, რომელიც გლდანს მეტროპოლიტენის უახლოეს სადგურს დაუკავშირებს.

22 მარტის ნომერი მთლიანად დათმობილი აქვს სსრ კავშირის პროფესიული კავშირების XVI ყრილობის მასალებს.

ПРАВДА

## ლ. ი. ბრეჟნევმა მიიღო კ. რ. როდრიგესი

**22 მარტს** სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა კრემლში მიიღო კუბის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროსა და სამდივნოს წევრი, კუბის რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე კ. რ. როდრიგესი.

გამართული საუბრის დროს ლ. ი. ბრეჟნევმა და კ. რ. როდრიგესმა ერთმანეთს აზრი გაუზიარეს სსრ კავშირსა და კუბის რესპუბლიკაში კომუნისტური და სოციალისტური მშენებლობის, საბჭოთა კავშირ-კუბის ყოველმხრივი თანამშრომლობის შემდგომი განვითარების საკითხებზე, აგრეთვე ორივე მხარისათვის საინტერესო ზოგიერთ საერთაშორისო საკითხზე.

საუბარმა გულითად, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

საუბარში მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბ. ნ. პონომარიოვი და სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგე კ. ვ. რუსაკოვი.

## ა. ნ. კოსიგინი ფინეთში გაემგზავრა

**სსრ** კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის უ. კეკონენის მიწვევით 21 მარტს მეგობრული ვიზიტით მოსკოვიდან ფინეთში გაემგზავრა.

ა. ნ. კოსიგინთან ერთად გაემგზავრნენ საგარეო ვაჭრობის მინისტრი ნ. ს. პატოლიჩევი, საგარეო ეკონომიური ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ს. ა. სკაჩკოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ი. ნ. ზემსკოვი.

ვაგზალზე ა. ნ. კოსიგინი გააცილეს ამხანაგებმა თ. დ. კულაკოვმა, დ. თ. უსტინოვმა, კ. თ. მაზუროვმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ნ. ა. ტიხონოვმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეებმა ნ. კ. ბაიბაკოვმა, ბ. ე. დიმშიცმა, ვ. ა. კირილინმა, მ. ა. ლესეჩკომ, ნ. ვ. მარტინოვმა, ვ. ნ. ნოვიკოვმა, ი. ტ. ნოვიკოვმა, ზ. ნ. ნურიევმა, ლ. ვ. სმირნოვმა, სსრ კავშირის მინისტრებმა, სხვა ოფიციალურმა პირებმა. (საკდესი).

• • •

**ჰელსინკი.** 22 მარტი. (საკდესი). დღეს აქ მეგობრული ვიზიტით ჩამოვიდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი, რომელიც ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა უ. კ. კეკონენმა მოიწვია.

ჰელსინკის ვაგზალზე ა. ნ. კოსიგინს დახვდნენ ფინეთის პრეზიდენტი უ. კ. კეკონენი, პრემიერ-მინისტრი მ. მიეტუნენი, სხვა ოფიციალური პირნი, აგრეთვე ფინეთში სსრ კავშირის ელჩი ვ. ს. სტეპანოვი.

## ნ. ვ. პოდგორნი ტაშკენტიდან გაემგზავრა

**ტაშკენტი,** 22 მარტი. (საკდესი). სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. ვ. პოდგორნი, რომელიც ოფიციალური ვიზიტით მიემგზავრება ტანზანიის გაერთიანებულ რესპუბლიკაში, დღეს გაემგზავრა ტაშკენტიდან.

აეროდრომზე ნ. ვ. პოდგორნი და მისი თანმხლები პირები გააცილეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, უზბეკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა შ. რ. რაშიდოვმა და სხვა ოფიციალურმა პირებმა.

# ახალი შრომითი მიღწევებისაკენ

## სსრ კავშირის პროფკავშირთა XVI ყრილობა

**პარტიისა** და ხალხის ერთიანობას, სკკპ ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო საბჭოთა პროფკავშირების მონოლითურ შეკავშირებას ცხადყოფს სსრ კავშირის პროფესიული კავშირების XVI ყრილობა, რომელიც მუშაობას განაგრძობს მოსკოვში, კრემლის ყრილობათა სასახლეში.

დელეგატები განიხილავენ უდიდესი მასშტაბის ამოცანებს, რომლებსაც საარსებო მნიშვნელობა აქვს მთელი ჩვენი საზოგადოებისა და თვითეული საბჭოთა ადამიანისათვის. ყრილობის ტრიბუნიდან ისინი ლაპარაკობენ იმ წარუშლელ შთაბეჭდილებაზე, რომელიც მოახდინა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვამ, სსრ კავშირის პროფკავშირების XVI ყრილობისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის მისალმებამ.

საბჭოთა პროფკავშირები ყოველთვის და ყველაფერში ლენინური პარტიის საიმედო დასაყრდენი, მისი აქტიური თანაშემწე იქნება. ეს აზრი წითელ ზოლად გასდევს ყრილობაზე ყველა გამოსვლას.

— ჩვენ ვამაყობთ, — თქვა კოსტრომის ვ. ი. ლენინის სახელობის სელის კომბინატის მქსოველმა, სოციალისტური შრომის გმირმა **ვ. ნ. პლეტნიოვამ,** — რომ ვცხოვრობთ განთავისუფლებული შრომის საზოგადოებაში, ნამდვილი დემოკრატიის, პიროვნების ნამდვილი თავისუფლების საზოგადოებაში. თვითეულ საბჭოთა ადამიანს შრომის, განათლებისა და დასვენების გარანტირებული უფლება აქვს, მტკიცედ სწამს ხვალინდელი დღე, შვილების ბედნიერი მომავალი.

დამახსოვრდა, განაგრძო საბჭოთა მუშათა კლასის წარმომადგენელმა, იაპონიაში მოგზაურობა, ამ ქვეყნის ქალებთან შეხვედრები. როგორც გვითხრეს, იქ ერთნაირი სამუშაოსათვის ქალები კაცებზე გაცილებით ნაკლებ ხელფასს იღებენ. ისინი ვერ დავარწმუნეთ, რომ ჩვენში არ არის უმუშევრობა, რომ საბჭოთა ადამიანებისათვის უფასოა მკურნალობა საავადმყოფოებში, რომ ჩვენში თანაბარი შრომისათვის თანაბარი ანაზღაურებაა, რომ უზრუნველყოფილი მოხუცებულობა გვაქვს. და ბურჟუაზიული პროპაგანდის ყოველგვარ მონაჭორს, ბინძურ ცილისწამებას, თითქოს ჩვენს ქვეყანაში არღვევდნენ ადამიანის უფლებებს, საბჭოთა ადამიანების გულისწყრომა და აღშფოთება მოსდევს. ჩვენი ხალხი თავისი ქვეყნის ნამდვილი ბატონ-პატრონია. ჩვენ ისეთი უფლებები გვაქვს, რომლებზეც ოცნებაც კი არ შეუძლია კაპიტალისტური სამყაროს ადამიანს. საბჭოეთის მუშათა კლასი, ყველა მშრომელი მუდამ კომუნისტურ პარტიასთან იყო, არის და იქნება. მისი ნაცადი ხელმძღვანელობით ვაშენებთ კომუნისტურ საზოგადოებას.

22 მარტს სსრ კავშირის პროფკავშირების XVI ყრილობა მუშაობას განაგრძობდა. პრეზიდიუმში იყვნენ პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელები, საკავშირო პროფსაბჭოს მდივნები, წარმოების მოწინავენი.

— სრულყოფენ რა სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციას, — თქვა ლენინგრადის პროფკავშირთა საოლქო საბჭოს თავმჯდომარემ **ვ. პ. პროვოტოროვმა,** — ლენინგრადელები ამოქმედებენ ახალ მნიშვნელოვან რეზერვებს, რის შედეგადაც განუწყვეტლივ ადიდებენ შრომის ნაყოფიერებასა და ხარისხს, ადგანან ნედლეულის, მასალებისა და ენერგიის უფრო რაციონალური ხარჯვის გზას. დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავის აღსანიშნავად ქალაქისა და ოლქის მშრომელები მტკიცედ იბრძვიან ხუთწლედის ორი წლის გეგმების ვადამდე შესრულებისათვის.

კრასნოდარის მხარის კორენოვსკის რაიონის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის მექანიზებული რგოლის მერგოლეურმა, სოციალისტური შრომის გმირმა **ნ. ვ. ბობილიოვმა** თქვა, რომ ყუბანის მეურნეობებში დაიწყო მოძრაობა სასოფლო-სამეურნეო კულტურების უხვი მოსავლის მიღებისათვის, დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავის ღირსეულო შეხვედრისათვის. შეჯიბრებაში 1600-ზე მეტი კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა, ბრიგადა და რგოლი ჩაება. მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების, მოწინავეთა გამოცდილების საფუძველზე მიწათმოქმედებს ხორბლის, სიმინდის, ბრინჯის, მზესუმზირის უხვი მოსავალი მოჰყავთ.

მეტალურგები, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, ბეჯითად შრომობენ ხუთწლედის დავალებათა შესასრულებლად, თქვა მეტალურგიული მრეწველობის მუშათა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარემ **ი. ი. კოსტიუკოვმა.** საწარმოთა ტექნიკურმა განახლებამ და ტექნოლოგიური პროცესების ინტენსიფიკაციამ, მუშათა და სპეციალისტთა შემოქმედებითმა მონაწილეობამ უზრუნველყო სწრაფი ტემპი და დარგის დინამიკური განვითარება, საშუალება მისცა პირველ ადგილზე გამოსულიყო მსოფლიოში თუჯისა და ფოლადის გამოდნობით, ნაგლინისა და მილების, ფერადი ლითონების წარმოებით. ორატორმა ილაპარაკა იმაზე, თუ რა როლს ასრულებენ პროფკავშირები შეჯიბრების შემდგომ განვითარებაში, შეეხო გამოუყენებელ რეზერვებს.

ყრილობას მიესალმა პოლონეთის პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარე **ვლადისლავ კრუჩეკი.** მან თქვა, რომ დღეს ოქტომბრის იდეები განსაზღვრავს მთელი კაცობრიობის განვითარების გზას, ეს იდეები პროგრესის გადამწყვეტი ფაქტორი გახდა თანამედროვე მსოფლიოში, კაპიტალის უღელქვეშ მცხოვრებ ადამიანთა იმედად იქცა.

ყაზახეთის პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარემ **ს. მ. მუკაშევმა** აღნიშნა უდიდესი წარმატებები, რომლებსაც მრავალეროვანმა საბჭოთა ყაზახეთმა მიაღწია საბჭოთა ხელისუფლების 60 წლის მანძილზე, და დაწვრილებით შეეხო პროფკავშირულ ორგანიზაციათა როლს საწარმოო საკითხების გადაწყვეტაში მშრომელთა სოციალისტური შეჯიბრებისა და დასვენების ორგანიზაციაში.

მშენებლობისა და საშენ მასალათა მრეწველობის მუშათა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარემ **ი. ა. ლანშინმა** განაცხადა, რომ მშენებლებში მასობრივი გაქანება მიეცა შეჯიბრებას დევიზით „ის, რაც დაგეგმილია, დროზე უნდა ავამოქმედოთ". დიდმნიშვნელოვანი პოლიტიკური და ეკონომიკური ინიციატივაა მსუბუქი და კვების მრეწველობის სამშენებლო, სამონტაჟო ორგანიზაციებისა და საწარმოების მოწინავე კოლექტივების ვალდებულება დააჩქარონ 220 საწარმოს ამოქმედებამ და ამ გზით წლეულსვე დამატებით გამოუშვან ფართო სახალხო მოხმარების პროდუქცია. ამ თაოსნობას სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საკავშირო პროფსაბჭოს დიდი შეფასება ხვდა.

— ყოველი ჩვენგანი, — თქვა ტიუმენის ოლქის ნიჟნევარტოვსკის № 2 საბურღ სამუშაოთა სამმართველოს მბურღავმა ოსტატმა სოციალისტური შრომის გმირმა **გ. კ. პეტროვმა,** — თავის საქმეებს, თავის შრომას პარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებების მიხედვით ამოწმებს. თუ ეფექტიანად და ხარისხიანად მუშაობ, მაშასადამე შენი საქმის ოსტატი ხარ. ასე მუშაობენ ტიუმენელ მენავთობეთა და ნავთობმომპოვებელთა მოწინავე კოლექტივები.

ყრილობას მიესალმა გერმანიის თავისუფალ პროფკავშირთა გაერთიანების ცენტრალური გამგეობის თავმჯდომარე **ჰარი ტიში.** ჩვენმა დელეგაციამ, თქვა მან, დიდი ყურადღებით მოისმინა ყრილობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის სიტყვა. ეს სიტყვა ახალი მნიშვნელოვანი წვლილია განვითარებული სოციალისტური საზოგადოების პირობებში, კომუნიზმის აშენების პირობებში პროფკავშირთა წარმატებული მოღვაწეობის ორგანიზაციის საქმეში.

საანგარიშო პერიოდში ბელორუსიის პროფკავშირთა საბჭოებმა და კომიტეტებმა, განაცხადა პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარემ **ნ. ნ. პოლოზოვმა,** პარტიული ორგანოების ხელმძღვანელობით მნიშვნელოვნად აამაღლეს ორგანიზატორული მუშაობის დონე. ბევრი რამ გაკეთდა პირველადი ორგანიზაციების საქმიანობის გასაუმჯობესებლად. რესპუბლიკის პროფკავშირთა საქმიანობაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს საკითხებს — შეჯიბრების ორგანიზაციას, ხუთწლედის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის მოძრაობის განვითარებას შრომის ნაყოფიერების გადიდების პირადი შემოქმედებითი გეგმების საფუძველზე. ასობით საწარმოში მიღებულია და წარმატებით სრულდება შეხვედრი გეგმები.

ახლა არ არის სასოფლო-სამეურნეო წარმოებისა და სოფლად საზოგადოებრივი ცხოვრების არცერთი უბანი, რომელიც პროფკავშირების გავლენას არ განიცდიდეს. სოფლის მეურნეობის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარემ **ი. თ. შკურატოვმა** აღნიშნა ეს და დაწვრილებით შეეხო პარტიის აგრარული პოლიტიკის განხორციელებაში სასოფლო პროფკავშირულ ორგანიზაციათა მონაწილეობას. მთავარი ყურადღება ეთმობა იმ ამოცანების შესრულებას, რომლებიც სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა დაუსახა თავის წერილში სოფლის მშრომელებს, ჩვენი ქვეყნის ყველა მშრომელს, კერძოდ, საგაზაფხულო თესვის უსწრაფესად და მაღალხარისხოვნად დამთავრებას, საიუბილეო წელს უხვი მოსავლის მიღებისათვის შეჯიბრების განვითარებას.

სსრ კავშირის შრომის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ **ვ. გ. ლომონოსოვმა** თქვა, რომ თანამიმდევრულად ხორციელდება პარტიის ეკონომიკური სტრატეგია, რომლის მიზანია საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესება. მან ხაზი გაუსვა, რომ იზრდება შრომის როლი სოციალისტური საზოგადოების ცხოვრებაში. ორატორი დაწვრილებით შეეხო საკითხებს, — შრომის ხარისხისა და ეფექტიანობის ამაღლებას, მისი პირობების გაუმჯობესებას, ანაზღაურების სრულყოფას, სოციალისტური შეჯიბრების განვითარებას რესურსების უფრო რაციონალურად გამოყენების მიზნით, შეეხო საწარმოო ძალების განაწილების პრობლემებს.

სსრ კავშირის პროფკავშირთა XVI ყრილობას მიესალმნენ დედაქალაქის ნორჩი ლენინელები.

## ეძღვნება სახალხო კონტროლიორებს

**სახალხო კონტროლის ორგანოების მუშაობის საჯაროობის საშუალებათა დათვალიერება**

**საქართველოს სსრ** სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის ერთ-ერთ პავილიონში 16-დან 23 მარტამდე მიმდინარეობდა რესპუბლიკის სახალხო კონტროლის ორგანოების მუშაობის საჯაროობის საშუალებათა გამოფენა.

თბილისის ყველა რაიონის, ქალაქ რუსთავის, გორის, მახარაძის, ბორჯომისა და რესპუბლიკის სხვა რაიონების სახალხო კონტროლის ორგანოების მუშაობის ამსახველი 300-მდე ნაირფერადი პანო, სტენდი, პლაკატი, ფოტოალბომი მოგვითხრობს სახალხო კონტროლიორთა საქმეებზე.

ფართოდ არის წარმოდგენილი სტენდები, რომლებიც გვიჩვენებენ, თუ რამდენად ეფექტიანად ხორციელდება კონტროლი პარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებების, „ლატვიის სსრ სახალხო კონტროლის ორგანოებისადმი პარტიული ხელმძღვანელობის შესახებ" სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის V პლენუმის გადაწყვეტილებებისა და პარტიისა და მთავრობის სხვა სახელმძღვანელო დადგენილებების შესრულების მიმდინარეობისადმი.

ბევრი კარგი საქმე გააკეთეს რუსთაველმა სახალხო კონტროლიორებმა. მათ მიერ მომზადებული მასალები გვიამბობენ, თუ როგორ მუშაობენ სახალხო კონტროლიორები, რათა გაავრცელონ თაოსნობა „არც ერთი ჩამორჩენილი და უდისციპლინო ჩვენს გვერდით!" ბევრი რამ საინტერესო გააკეთეს აგრეთვე საქართველოს მეორე ინდუსტრიული ცენტრის — ქუთაისის სახალხო კონტროლიორებმა. ეს არის ლითონის ეკონომია, დაზოგილი სამუშაო დრო, ბრძოლა წუნის წინააღმდეგ.

მახარაძის რაიონის კონტროლიორთა საჯაროობის საშუალებანი ასახავენ მათ საქმიანობას ლაითურის კიროვის სახელობის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში.

თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის სახალხო კონტროლიორთა ნაყოფიერი და მრავალმხრივი მუშაობაა ასახული სტენდებზე: „სახალხო კონტროლი მეათე ხუთწლედში", „ხარისხი პლუს ეფექტიანობა", ყურადღების ცენტრშია მომჭირნეობის რეჟიმი", „ინიციატივის ნაყოფი".

გორის რაიონის სახალხო კონტროლიორები გვიზიარებენ საუკეთესო აქტივისტების მუშაობის გამოცდილებას.

დათვალიერებაზე ფართოდ იყო წარმოდგენილი მასალები, რომლებიც ასახავენ თბილისელი სახალხო კონტროლიორების მუშაობას.

დათვალიერების მიზანია გამოცდილების გაზიარება.

დათვალიერება დამთავრდა რესპუბლიკური სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციით, რომელიც მიეძღვნა თემას „საჯაროობა სოციალისტური კონტროლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ლენინური პრინციპია".

გამოფენა დაათვალიერეს ე. ა. შევარდნაძემ, ზ. ა. პატარიძემ, ვ. მ. სირაძემ, ზ. ა. ჩხეიძემ, ა. ნ. ინაურმა. ახსნა-განმარტებას იძლეოდა საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარე ო. ვ. მელქაძე. (საქინფორმი).

## საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

**21 მარტს** თბილისში გაიმართა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის XII პლენუმი. პლენუმმა განიხილა საკითხი „კომკავშირული დოკუმენტების გამოცვლის შედეგები და რესპუბლიკის კომკავშირის კომიტეტების ამოცანები სკკპ XXV ყრილობის მოთხოვნების შესაბამისად კომკავშირული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობის შემდგომი ამაღლების საქმეში".

პლენუმზე მოხსენება გააკეთა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ი. ორჯონიკიძემ.

მოხსენების გამო გაიმართა კამათი.

პლენუმმა მოისმინა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივნის მ. ფაჩუაშვილის ინფორმაცია რესპუბლიკის კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის XI და XII პლენუმებს შორის პერიოდში საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიუროსა და სამდივნოს მიერ გაწეული მუშაობის შესახებ.

განხილულ საკითხებზე პლენუმმა მიიღო დადგენილება.

პლენუმიდან კომკავშირული საგზურებით გაგრის საკურორტო კომპლექსის დამკვრელურ კომკავშირულ მშენებლობაზე გაიგზავნა ახალგაზრდა მშენებელთა მორიგი რაზმი.

პლენუმმა განიხილა აგრეთვე ორგანიზაციული საკითხები.

პლენუმზე გამოვიდა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ჟ. შარტავა.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდა სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი ორგანიზატორი ვ. ტრუსოვი. (საქინფორმი).

# საკავშირო პროფსაბჭოს მუშაობის ანგარიში და სსრკ პროფკავშირების ამოცანები სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად

## საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარის ამხანაგ ა. ი. შიბაევის მოხსენება

**დღევანდელი** დღე, თქვა ა. ი. შიბაევმა, დაუვიწყარი ფურცელი იქნება ჩვენი ქვეყნის საბჭოთა პროფკავშირების სახელოვან ისტორიაში. ჩვენ ყველამ ეს-ეს არის უდიდესი ყურადღებით მოვისმინეთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის ღრმაშინაარსიანი ისტორიული სიტყვა, ჩვენ დიდი კმაყოფილებით შევხვდით სკკპ ცენტრალური კომიტეტის მისალმებას.

ლეონიდ ილიას-ძემ საოცრად ზუსტად თქვა უმნიშვნელოვანესი, უმთავრესი, რითაც დღეს ცხოვრობს მშრომელი ადამიანი, რისთვისაც იბრძვის მთელი საბჭოთა ხალხი. მის სიტყვაში დასმულია პარტიისა და სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის აქტუალური ძირეული პრობლემები. იგი თავიდან ბოლომდე გამსჭვალულია პარტიული ზრუნვით ჩვენი სოციალისტური სამშობლოს აყვავებისათვის, საბჭოთა ადამიანების ცხოვრების შემდგომი გაუმჯობესებისათვის, ქვეყნად მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის. ეს არის ხალხისადმი მიმართული პარტიის სიტყვა. იგი აღგვაფრთოვანებს და გვიხმობს ახალი საქმეებისათვის, ახალი მიღწევებისათვის კომუნიზმის სასახელოდ!

ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის სიტყვაში, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მისალმებაში, რომელიც დღეს გადმოგვცა მან, ყოველმხრივ არის გაშუქებული პროფკავშირების როლი განვითარებულ სოციალისტურ საზოგადოებაში, ლენინური პოზიციებიდან არის განსაზღვრული მათი ამოცანები თანამედროვე პირობებში. საბჭოთა პროფკავშირები ამ ამოცანებს მოქმედების საბრძოლო პროგრამად აღიქვამენ.

პარტიის მოწოდების პასუხად ჩვენი პროფკავშირები სულ უფრო მტკიცედ იბრძოლებენ წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლებისათვის, კიდევ უფრო ფართოდ გაშლიან სოციალისტურ შეჯიბრებას, განამტკიცებენ შრომის დისციპლინას, ყოველნაირად განავითარებენ მასობრივ ინიციატივას.

პროფკავშირები ყველაფერს იღონებენ, რომ სულ უფრო მნიშვნელოვანი იყოს მათი წვლილი იმ ამოცანების გადაწყვეტაში, რომლებიც ხალხის ცხოვრების, საბჭოთა ადამიანების შრომის, ყოფისა და დასვენების პირობების გაუმჯობესებას უკავშირდება.

ჩვენ კვლავინდებურად შეუნელებელ ყურადღებას დავუთმობთ პროფკავშირების მონაწილეობას სოციალისტური დემოკრატიის განვითარებაში, უფრო სრულად და უკეთ გამოვიყენებთ წარმოების, საზოგადოებისა და სახელმწიფოს საქმეთა მართვაში მშრომელთა ჩაბმის ყველა გზასა და ფორმას. ყურადღება, რომელსაც დღენიადაგ უთმობს პარტია პროფკავშირთა საქმეებს, პროფკავშირების სამართლიან მოთხოვნათა მხარდაჭერა, რაზეც აქ ილაპარაკა ლეონიდ ილიას-ძემ, გვეხმარება უფრო ეფექტიანად გამოვიყენოთ პროფკავშირთა უფლებები, საშუალებას აძლევს მათ იმოქმედონ კიდევ უფრო ინიციატივიანად და მტკიცედ.

საბჭოთა პროფკავშირები — ჩვენი ქვეყნის მილიონობით მშრომელის წარმომადგენლები ყოველნაირად უჭერენ მხარს ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის სიტყვაში წამოყენებულ ახალ კონსტრუქციულ წინადადებებს, რომელთა მიზანია საერთაშორისო დაძაბულობის შემდგომი შენელება, თანამედროვეობის საკვანძო საერთაშორისო პრობლემების გადაწყვეტა. ჩვენ კიდევ უფრო აქტიურად ვიბრძოლებთ, რათა განვამტკიცოთ ყველა ქვეყნის მშრომელთა პროლეტარული სოლიდარობა, მოქმედების ერთიანობა სოციალური პროგრესისათვის, მშვიდობისა და უშიშროებისათვის ბრძოლაში.

ნება მიბოძეთ, ყველა აქ დამსწრის სახელით ლენინური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, ძვირფას ლეონიდ ილიას-ძეს მოვახსენო მშრომელი ხალხის დიდი მადლობა კეთილი, მამაშვილური სიტყვებისა და ცენტრალური კომიტეტის გულთბილი მოსალმებისათვის. სულით და გულით ვუსურვებთ ლეონიდ ილიას-ძეს ჯანმრთელობასა და დღეგრძელობას, უშრეტ ენერგიას, შემდგომ წარმატებებს ნაყოფიერ მოღვაწეობაში ჩვენი დიადი სამშობლოს, ხალხთა მშვიდობისა და მეგობრობის საქმის საკეთილდღეოდ, ყველა მშრომელი ადამიანის სასიხარულოდ და საბედნიეროდ, კომუნიზმის გასამარჯვებლად!

ჩვენი ქვეყნის პროფესიული კავშირების XVI ყრილობა, თქვა შემდგომ ა. ი. შიბაევმა, ღირსშესანიშნავ დროს შეიკრიბა. წელს სრულდება მსოფლიოში პირველი ძლევამოსილი სოციალისტური რევოლუციის მესამოცე წლისთავი. საბჭოთა ხალხი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ახორციელებს კომუნისტური მშენებლობის დიდებულ გეგმებს, რომლებიც სკკპ XXV ყრილობამ დაგვისახა.

სკკპ XXV ყრილობაზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებაში, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის ოქტომბრის პლენუმზე მის სიტყვაში განსაკუთრებით საფუძვლიანად არის ჩამოყალიბებული პარტიის სოციალურ-ეკონომიკური სტრატეგია არა მარტო უახლოესი წლებისათვის, არამედ უფრო ხანგრძლივი პერსპექტივისათვისაც, ნაჩვენებია კომუნისტური მშენებლობის მორიგი ამოცანების გადაწყვეტის გზები და საშუალებანი, დასახულია მშვიდობისა და საერთაშორისო თანამშრომლობისათვის, ხალხთა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის შემდგომი ბრძოლის გაბედული და ამავე დროს რეალისტური პროგრამა.

ლენინური პარტიის ყრილობის გადაწყვეტილებანი, რომლებიც საბჭოთა ხალხის ძირეულ ინტერესებსა და კომუნისტურ იდეალებს გამოხატავენ, — აი ეს არის ის კომპასი, რომელიც ზუსტ ორიენტაციას აძლევს საბჭოთა პროფკავშირების — კომუნიზმის საქმისათვის აქტიური მებრძოლების მთელ მრავალმხრივ საქმიანობას.

წელს ჩვენი პროფკავშირები, რომლებიც ბოლშევიკმა ლენინელებმა შექმნეს, თავიანთ 70-ე წლისთავს აღნიშნავენ. ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით პროფკავშირები იბრძოდნენ თვითმპყრობელობისა და ბურჟუაზიულ-მემამულური წყობილების წინააღმდეგ. პარტიასთან ერთად იცავდნენ ისინი ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკას სამოქალაქო ომისა და უცხოეთის ინტერვენციის წლებში. პარტიასთან ერთად იბრძოდნენ ისინი სოციალისტური ინდუსტრიის, სოციალისტური სოფლის მეურნეობის შექმნისათვის, ახალი სოციალისტური კულტურისათვის. დიდი სამამულო ომის მრისხანე წლებში საბჭოთა პროფკავშირები აქტიურად უწყობდნენ ხელს გამარჯვების გამოჭედვას. პარტიასთან ერთად უშუალოდ მონაწილეობდნენ სახალხო მეურნეობის აღდგენაში, სოციალისტური, შემდეგ კი კომუნისტური მშენებლობის გაფართოებაში.

ლენინური პარტიისაგან, ხაზგასმულია მოხსენებაში, საბჭოთა პროფკავშირები სწავლობდნენ და სწავლობენ თავდადებას მშრომელთა ინტერესებისათვის ბრძოლაში, ხელოვნებას, რომ ყურად იღონ მასების აზრი. ლენინური პარტიისაგან სწავლობდნენ და სწავლობენ პროფკავშირები თანამიმდევრულობას მარქსისტულ-ლენინური იდეალების განხორციელებისათვის ბრძოლაში.

დიდი ოქტომბრის გამარჯვების შემდეგ განვლილი 60 წლის მანძილზე ჩვენმა ქვეყანამ საუკუნეთა ტოლი გზა განვლო. აღმშენებლობითი მუშაობის განსაკუთრებით ფართო გაქანებით, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ამოცანების კომპლექსური გადაწყვეტით, როგორც კომუნისტურ მშენებლობაში, ისე ქვეყნად მტკიცე მშვიდობისათვის ბრძოლაში მიღწევებით აღინიშნა უკანასკნელი ათწლეული.

ეს მიღწევები, თქვა ა. ი. შიბაევმა, დაკავშირებულია ტიტანურ რევოლუციურ-გარდამქმნელ საქმიანობასთან, რომელსაც ეწევიან ლენინური კომუნისტური პარტია, მისი ცენტრალური კომიტეტი, პოლიტბიურო და მისი მეთაური — თანამედროვეობის გამოჩენილი სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე, ერთგული მარქსისტ-ლენინელი, მშვიდობისა და კომუნიზმის საქმისათვის დაუცხრომელი მებრძოლი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი.

საანგარიშო პერიოდი, აღნიშნა მომხსენებელმა, საბჭოთა პროფკავშირების ისტორიაში შევა როგორც პერიოდი, როცა ისინი აქტიურად მონაწილეობდნენ პარტიის პოლიტიკის, სკკპ XXIV და XXV ყრილობების მიერ შემუშავებული ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების პროგრამის განხორციელებისათვის ბრძოლაში, მეცხრე და მეათე ხუთწლიანი გეგმების დავალებათა შესასრულებლად მშრომელთა ძალების დარაზმვაში.

პარტიის იმ მიმართვის პასუხად, რომ გადავაქციოთ მეათე ხუთწლედი ეფექტიანობისა და ხარისხის ხუთწლედად, საბჭოთა პროფკავშირები ყოველ ღონეს ხმარობენ, რომ ეს მოწოდება წარმატებით სრულდებოდეს.

ამ საქმეში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება შრომის ნაყოფიერების ზრდას. ამ უბანზე უდიდესი მუშაობა წარმოებს, მაგრამ, თქვა მომხსენებელმა, შედეგები გაცილებით დიდი შეიძლებოდა ყოფილიყო, ყველა საწარმოს რომ შეესრულებინა შრომის ნაყოფიერების ზრდის დავალებანი. საწარმოები, რომლებიც შრომის ნაყოფიერების გეგმებს ვერ ასრულებენ, განსაკუთრებით ბევრია ხე-ტყის, ქვანახშირის, ნავთობის მრეწველობის დარგებში. ეს მნიშვნელოვანწილად შესაბამისი საწარმოო პროფკავშირების ბრალიც არის.

პროფკავშირული ორგანიზაციები ყოველდღიურად უნდა ზრუნავდნენ ძირითადი საწარმოო ფონდების განახლებისა და გამოყენების გაუმჯობესებისათვის. ამოცანა ის არის, რომ ყველა საწარმოში, მშენებლობაზე, კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში უზრუნველყოფილი იყოს თვითეული ჩარხის, მანქანისა და აგრეგატის მაქსიმალური უკუგება, არ ცდებოდეს მოწყობილობა, დაჩქარდეს მეცნიერებისა და ტექნიკის უკანასკნელ მიღწევათა ბაზაზე შექმნილ ახალ საწარმოო სიმძლავრეთა ათვისება.

შემდეგ მომხსენებელი შეეხო იმ პასუხსაგებ ამოცანებს, რომლებიც დგება სამეცნიერო-საკვლევო, საპროექტო-საკონსტრუქტორო დაწესებულებების პროფკავშირულ ორგანიზაციათა წინაშე. სოციალისტური ქვეყნების მეცნიერებათა აკადემიების ხელმძღვანელებთან შეხვედრაზე გამოსვლისას ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ფუნდამენტური მეცნიერების განვითარების ყოველნაირად წახალისებასთან ერთად საჭიროა ვიზრუნოთ, რომ ორგანულად შეერწყას მას გამოყენებითი კვლევა, დავაჩქაროთ სამეცნიერო აღმოჩენათა დანერგვა სახალხო მეურნეობაში. ამ მითითებათა შესაბამისად პროფკავშირთა ცენტრალური კომიტეტებისა და საბჭოების სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოებების პრაქტიკული საქმიანობა იქითკენ უნდა წარიმართოს და მათი ყურადღება იმას უნდა დაეთმოს, რომ გაღრმავდეს მეცნიერებისა და წარმოების კავშირი, დაიდოს ხელშეკრულებანი ინსტიტუტებისა და საწარმოების შემოქმედებითი თანამეგობრობის შესახებ, განვითარდეს ინჟინერ-ტექნიკური და მეცნიერი მუშაკების შეჯიბრება შემოქმედებითი გეგმების საფუძველზე.

ორატორმა დაახასიათა რაციონალიზატორთა და გამომგონებელთა მოძრაობის გაქანება და შემდეგ აღნიშნა, რომ საჭიროა ყოველნაირად განვავითაროთ და წარვმართოთ მშრომელთა შემოქმედებითი აქტივობა ეფექტიანობისა და ხარისხის პრობლემების პრაქტიკული გადაწყვეტისათვის.

ერთ-ერთი ყველაზე საარსებო ამოცანა, რომელსაც პარტია სახავს, პროდუქციის ხარისხის შემდგომი გაუმჯობესებაა, მაღალი ხარისხი უზრუნველყოფს შრომისა და მატერიალური რესურსების დიდ დაზოგვას და დიდი სოციალურ-ეკონომიკური მნიშვნელობა აქვს. ბევრმა კოლექტივმა ამ დარგში დიდ წარმატებებს მიაღწია. ესენია, კერძოდ, მოსკოვის ლიხაჩოვის სახელობის საავტომობილო ქარხანა, ბაქოს ქარხანა „ელექტროშუქი", დედაქალაქის ქარხანა „კრასნი პროლეტარი", მინსკის სატრაქტორო გაერთიანება. მოწინავე კოლექტივები, რომლებიც ხარისხის ნიშნიან პროდუქციას უშვებენ, გვყავს ყველა დარგში, ყველა რესპუბლიკაში, მხარეში, ოლქში. მათი გამოცდილების შესწავლა და ფართოდ გამოყენება პროფკავშირულ ორგანიზაციათა უმნიშვნელოვანესი ამოცანაა.

ამასთანავე ზოგიერთი საწარმო უხარისხო პროდუქციას უშვებს. არიან ისეთებიც, რომლებიც მიღწეულ დონესაც კი ამცირებენ. სამეურნეო ხელმძღვანელებთან ერთად უხარისხო პროდუქციის გამოშვებისათვის პასუხისმგებლობა პროფკავშირთა კომიტეტებსაც ეკისრებათ. პროფკავშირთა ზოგიერთი ცენტრალური კომიტეტი და საბჭო ჯერ კიდევ ცოტას მუშაობს პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების საკითხებზე, მათ გამო მიღებულ გადაწყვეტილებებს არ განამტკიცებს საჭირო ორგანიზატორული მუშაობით.

მთავარი ყურადღება უნდა დაეთმოს შრომის ხარისხის მართვის კომპლექსური სისტემის დანერგვას, თვითეულ სამუშაო ადგილზე ნაწარმის დამზადების მთელ ტექნოლოგიურ ჯაჭვში უდეფექტო მუშაობის უზრუნველყოფას. საჭიროა აგრეთვე განვავითაროთ მოძრაობა პირველი წარდგენით პროდუქციის ჩაბარებისათვის, პირადი დამღით მუშაობის უფლებისათვის.

მომხსენებელმა განსაკუთრებით გაუსვა ხაზი ამ პრობლემის ზნეობრივ მხარეს. პროდუქციის ხარისხი მუშის შეგნების საზომია. მილიონობით საბჭოთა მშრომელი არა მარტო დაუფლებულია მაღალ ოსტატობას, არამედ სიამაყის გრძნობითაც ივსება თავისი მუშაობის ხარისხისათვის. მათ არ შეუძლიათ ცუდად შრომა: ეს ღირსებას შეულახავდა მუშას. პროფკავშირების მოვალეობაა მიაღწიონ იმას, რომ შრომის ჩინებული ხარისხი თვითეული საბჭოთა ადამიანის, თვითეული მშრომელი კოლექტივის მუშაობის აუცილებელი ნორმა გახდეს.

ხალხის დოვლათისადმი ყაირათიანი დამოკიდებულება, განაგრძო ორატორმა, ნედლეულის, მასალების, სათბობის, ელექტროენერგიის რაციონალური გამოყენება სულ უფრო მეტად ხდება მეურნეობის სოციალისტური გაძღოლის გარდუვალი პრინციპი. 1976 წელს დაახლოებით 3 მილიარდი მანეთის ნედლეული, მასალები, სათბობი და შრომის სხვა საგნები არის დაზოგილი. და მიუხედავად ამისა ჩვენში ჯერ კიდევ არცთუ იშვიათია უყაირათობის ფაქტები, საშენ მასალათა, ლითონის, სათბობის, მინერალური სასუქების დანაკარგები.

სამეურნეო განვითარების ერთ-ერთი ძირეული პრობლემაა, განაგრძო ა. ი. შიბაევმა, კაპიტალური მშენებლობის გაუმჯობესება. სამეურნეო და პროფკავშირული ორგანიზაციები დღენიადაგ უნდა ზრუნავდნენ მშენებლობისათვის საჭირო კაპიტალური დაბანდებების, მატერიალური რესურსების კონცენტრაციისა და უფრო ეფექტიანი გამოყენებისათვის. დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ფართოდ დაინერგოს მშენებლობაში ბრიგადული იჯარის მეთოდი, რომლის ინიციატორია სოციალისტური შრომის გმირი ნ. ა. ზლობინი.

ხუთწლედის საკვანძო პრობლემებს შორის მომხსენებელმა დაასახელა სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარება. პროფკავშირებმა აქტიურად უნდა შეუწყონ ხელი პარტიის აგრარული კურსის წარმატებით განხორციელებას სასოფლო პროფკავშირულ ორგანიზაციათა ორგანიზატორული მუშაობის გაუმჯობესების გზით. მათი მოვალეობაა ყოველნაირად შეუწყონ ხელი სამეურნეობათაშორისო კოოპერაციისა და აგროსამრეწველო ინტეგრაციის ბაზაზე სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის პროცესს.

პროფკავშირებმა განსაკუთრებული კონტროლი უნდა გაუწიონ სოფლის ყველა შეკვეთის, განსაკუთრებით სასუქების, სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და მათი სათადარიგო ნაწილების გამოშვების, მშენებლობისა და მელიორაციის დავალებათა შესრულებას.

შემდეგ ორატორმა დაახასიათა ამოცანები, რომლებიც პროფკავშირებს წინაშე დგას მასობრივი მოთხოვნის ნაწარმის გამოშვების განვითარებისა და ხარისხის ამაღლების შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებასთან დაკავშირებით. მრეწველობის ყველა დარგის პროფკავშირთა ცენტრალურმა კომიტეტებმა, პროფკავშირთა საბჭოებმა სამეურნეო ორგანოებთან ერთად უნდა განახორციელონ მისი რეალიზაციის პრაქტიკული ღონისძიებანი.

წარმოების აღმავლობაში, ეკონომიკის განვითარებაში, ხაზგასმულია მოხსენებაში, სულ უფრო დიდ როლს ასრულებს სოციალისტური შეჯიბრება, როგორც სამეურნეო-პოლიტიკური ამოცანების გადაწყვეტაში პროფკავშირთა მონაწილეობის მთავარი მეთოდი.

ამ ეტაპზე შეჯიბრების ხელმძღვანელობისათვის პროფკავშირთა პრაქტიკული საქმიანობის პროგრამაა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების შესახებ.

მასების შრომითი და პოლიტიკური აქტიურობის განვითარებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებებს შეჯიბრების საკითხებზე, სტახანოვური მოძრაობის 40 წლისთავს, რომელიც ფართოდ აღინიშნა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის შეხვედრას მის წამომწყებებთან, შეჯიბრების გამარჯვებულთათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშების დაწესებას, სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე საკავშირო საპატიო დაფის შემოღებას.

პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა ბევრი რამ გააკეთეს, რომ სოციალისტურ შეჯიბრებას ჭეშმარიტად საყოველთაო-სახალხო ხასიათი მინიჭებოდა. დღეს შეჯიბრებაში მონაწილეობს 97,5 მილიონი კაცი — ეს 22,8 მილიონით მეტია, ვიდრე 1972 წელს. შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულებისათვის მოძრაობის მონაწილეთა რიცხვმა 57,8 მილიონს მიაღწია. შეჯიბრებაში მთავარი გახდა ბრძოლა წარმოების ეფექტიანობისათვის, შრომის ნაყოფიერების, პროდუქციის ხარისხის ამაღლებისათვის, ტექნიკური პროგრესისათვის. შეჯიბრება გამდიდრდა ახალი ფორმებით, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა გამარჯვებულთა მატერიალური და მორალური სტიმულირების პრაქტიკა.

მილიონობით საბჭოთა ადამიანი შრომითი გმირობის ნიმუშებს გვიჩვენებს. საუკეთესოთა შორის საუკეთესოებს მინიჭებული აქვთ სოციალისტური შრომის გმირის მაღალი წოდება, მათ მიიღეს სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, პირადად სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მისალმებანი. შეჯიბრების 238 მოწინავე სახელმწიფო პრემიის ლაურეატი გახდა, ბევრი დაჯილდოებულია სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით.

ყრილობის სახელით, პროფკავშირების სახელით ა. ი. შიბაევმა დიდი მადლობა გადაუხადა ყველა მოწინავესა და ნოვატორს ინიციატივისა და შრომითი მამაცობისათვის, უსურვა მათ კვლავაც მაღლა ეტარებინოთ საყოველთაო-სახალხო შეჯიბრების დროშა, გვიჩვენებდნენ შრომისადმი ნამდვილი კომუნისტური დამოკიდებულების მაგალითს.

დიდი მნიშვნელობა აქვს შეჯიბრების გაშლას შემხვედრი გეგმების საფუძველზე. მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, მინსკის, ივანოვოს, ხარკოვისა და ჩვენი ქვეყნის სხვა დიდი ინდუსტრიული ცენტრების მოწინავე შრომითი კოლექტივების პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ასეთი გეგმების შემუშავება და განხორციელება საშუალებას გვაძლევს კომპლექსურად გადავწყვიტოთ წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლების ამოცანები, მნიშვნელოვნად გავადიდოთ პროდუქციის გამოშვება. ამავე დროს მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ზოგიერთი პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტი და სამინისტრო ჯეროვან ყურადღებას არ უთმობს შემხვედრი გეგმების გულდასმით შემუშავებას.

შეჯიბრების განვითარება, ყველა საწარმოო ამოცანის წარმატებით გადაწყვეტა დიდად არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ უწევენ პროპაგანდას და როგორ ავრცელებენ მოწინავე გამოცდილებას. მაგალითად, ჩვენს ქვეყანაში და მის საზღვრებს გარეთ კარგად იცნობენ შჩეკინოს ქიმიური კომბინატის გამოცდილებას. მაგრამ შავი მეტალურგიის, ფერადი მეტალურგიის, ენერგეტიკის, ჩარხსაშენებელი მრეწველობის, ხელსაწყოთმშენებელი მრეწველობის, საგზაო მანქანათმშენებლობის სამინისტროებში ამ მეთოდით საწარმოთა მხოლოდ 6-მდე პროცენტი მუშაობს.

პროფკავშირთა ცენტრალურმა კომიტეტებმა და თვითეული დარგის სამინისტროებმა უნდა შეიმუშაონ მოწინავე გამოცდილების გავრცელების მწყობრი სისტემა, აამაღლონ ხელმძღვანელებისა და კოლექტივების პასუხისმგებლობა ამ საქმისათვის.

ეკონომიკის აღმავლობასთან განუყრელად დაკავშირებული პროფკავშირთა საქმიანობის უმნიშვნელოვანესი მხარე ის არის, რომ მშრომელები ჩააბან წარმოების მართვაში. ეს ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა, რომლის მიხედვითაც ხორციელდება სოციალისტური დემოკრატიის განვითარება მთლიანად.

როგორც თავის სიტყვაში ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევმა აღნიშნა, პროფკავშირები დიდ როლს ასრულებენ მთელ ჩვენს პოლიტიკურ სისტემაში, სოციალისტური დემოკრატიის განვითარებაში. პროფკავშირები ერთი იმ ორგანიზაციათაგანია, რომლებიც უზრუნველყოფენ დემოკრატიის განხორციელებას ეკონომიკის დარგში და ამ მხრივ დიდი უფლებები და შესაძლებლობანი აქვთ. პროფკავშირებს მინიჭებული აქვთ საკანონმდებლო ინიციატივის უფლება. მინიჭებული უფლებების რეალიზაციისათვის პროფკავშირების არსენალშია ისეთი ფორმები, როგორიც არის მუშათა კრებები, მუდმივმოქმედი საწარმოო თათბირები, კოლექტიური ხელშეკრულებანი, სხვადასხვა კომისიები და შემოქმედებითი გაერთიანებანი. საბჭოთა პროფკავშირები ფართოდ იყენებენ მათ იმისათვის, რომ უზრუნველყონ მშრომელთა უშუალო, ყველაზე აქტიური მონაწილეობა ეკონომიკის, მთელი ჩვენი ცხოვრების ძირეული საკითხების გადაწყვეტაში.

გასულ ხუთწლეულში მუდმივმოქმედმა საწარმოო თათბირებმა შეიტანეს თითქმის 7 მილიონი წინადადება სამეურნეო საქმიანობის გაუმჯობესების შესახებ. ორ მილიონზე მეტი წინადადება წარმოების, შრომის პირობების, ყოფა-ცხოვრებისა და დასვენების სრულყოფის შესახებ ყოველწლიურად შეაქვთ კოლექტიურ ხელშეკრულებებში.

პროფკავშირთა ინიციატივითა და აქტიური მონაწილეობით უკანასკნელი წლების მანძილზე შემუშავებული და მიღებულია დიდმნიშვნელოვანი კანონები, პარტიისა და მთავრობის დადგენილებანი, რომლებიც მიზნად ისახავენ მშრომელთა შრომის, ყოფა-ცხოვრების, დასვენების პირობების, სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესებას, გარემოს დაცვას. აი როგორ ხორციელდება ჩვენი სოციალისტური დემოკრატია სინამდვილეში! — თქვა ა. ი. შიბაევმა.

სკკპ XXV ყრილობაზე გაკეთებულ მოხსენებაში ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევმა ხაზგასმით აღნიშნა: „სწორედ იმიტომ, რომ ჩვენი პროფკავშირები თავიანთი საქმიანობის ცენტრში აყენებენ მშრომელი ადამიანის ინტერესებს, მათი ვალია იზრუნონ წარმოების აღმავლობისათვის". ასრულებენ რა ამ მითითებას, საბჭოთა პროფკავშირები უფრო მეტი სიმტკიცით მუშაობენ, რათა მშრომელები დარაზმონ ეკონომიკის განვითარების ამოცანათა გადაწყვეტისათვის.

ეკონომიკის ზრდისა და საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლების საფუძველზე, განაგრძო ორატორმა, სულ უკეთ და უფრო სრულად კმაყოფილდება ხალხის მზარდი მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებანი. სიამაყით შეგვიძლია ვთქვათ, რომ საბჭოთა კავშირმა ყველას უჩვენა მშრომელთა ინტერესებისათვის საზოგადოების ყველაზე სამართლიანი ორგანიზაციის ისტორიული მაგალითი. სამუდამოდ მოისპო კაპიტალიზმისათვის დამახასიათებელი ისეთი სოციალური მანკი, როგორიც არის კლასობრივი და ეროვნული ჩაგვრა, ექსპლოატაცია და უმუშევრობა, სიღატაკე და უწიგნურობა. განუხრელად იზრდება საბჭოთა ადამიანების რეალური შემოსავალი.

აღნიშნა რა, რომ საბჭოთა პროფკავშირები ჩვენი საზოგადოების ცხოვრებაში სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნების აქტიური მონაწილენი არიან, მომხსენებელმა დაახასიათა სკკპ XXV ყრილობის მიერ შემუშავებული მეათე ხუთწლედში სოციალური განვითარებისა და ხალხის ცხოვრების დონის ამაღლების გრანდიოზული პროგრამა.

მუშათა და მოსამსახურეთა შემოსავლის გადიდების მთავარი გზა და ამასთანავე შრომის მატერიალური სტიმულირების დიდმნიშვნელოვანი ბერკეტი, ისევე როგორც წინათ, კვლავ ხელფასი რჩება. საკავშირო პროფსაბჭომ, პროფკავშირთა ცენტრალურმა კომიტეტებმა და საბჭოებმა, სახელმწიფო და სამეურნეო ორგანოებმა საანგარიშო პერიოდში განახორციელეს შრომის ანაზღაურების ორგანიზაციის სრულყოფის ღონისძიებანი. მეცხრე ხუთწლედში მუშათა და მოსამსახურეთა ხელფასი გაიზარდა 20 პროცენტით. საწარმოო დარგების მუშაკებსა და მოსამსახურეებს გაუდიდდათ განაკვეთები და სარგოები.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს დადგენილებით მიმდინარე ხუთწლედში გათვალისწინებულია საშუალოდ 18 პროცენტით გაუდიდდეს ხელფასი 31 მილიონ მუშაკს, რომლებიც სახალხო მეურნეობის არასაწარმოო დარგებში არიან დასაქმებული.

პროფკავშირული კომიტეტები, სამეურნეო ორგანოები მნიშვნელოვან მუშაობას ეწევიან შრომის ნორმირების გაუმჯობესებისათვის. მხარდაჭერისა და გავრცელების ღირსია საკავშირო პროფსაბჭოსა და სსრ კავშირის შრომსახკომის მიერ მოწონებული ონეგის სატრაქტორო ქარხნის გამოცდილება, რომელიც მუშაობს შრომის ნორმირების გაუმჯობესებისა და ტექნიკურად დასაბუთებული ნორმების დანერგვით მატერიალური დაინტერესების ამაღლებისათვის, აგრეთვე ვლადიმირის ოლქის საწარმოთა კოლექტივების გამოცდილება თვით მუშათა ინიციატივით ნორმების გადასინჯვის სტიმულირების შესახებ.

ჩვენ კვლავაც, აღნიშნა ა. ი. შიბაევმა, მიზანდასახულად უნდა სრულვყოთ ნორმირება, დავაჩქაროთ გამომუშავების ტექნიკურად დასაბუთებული ნორმებისა და მომსახურების ნორმატივების დანერგვა. როგორც ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევმა მიგვითითა, „ხელფასი ყველგან უნდა იყოს გამომუშავებული, თვითეული მუშაკი უნდა გრძნობდეს მის პირდაპირ დამოკიდებულებას კოლექტივის საწარმოო წარმატებებში შეტანილ პირად წვლილზე".

ორატორმა შემდეგ აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს სოციალური განვითარების გეგმებს, რომლებიც ახლა მუშავდება და ხორცს ისხამს ათასობით საწარმოში, ბევრ ქალაქსა და რაიონში, წარმოების დარგებში. პროფკავშირულმა და სამეურნეო ორგანოებმა კვლავაც უნდა სრულყონ სოციალური დაგეგმვის პრაქტიკა, ამასთან უფრო სრულად გაითვალისწინონ რესურსები და შესაძლებლობანი, რომლებიც საწარმოებსა და გაერთიანებებს ახლა აქვთ და სულ უფრო მეტი რაოდენობით ექნებათ ხუთწლედის შესრულების მსვლელობაში.

შრომის პირობებისა და დაცვის გეგმაზომიერი გაუმჯობესება მუდამ პროფკავშირთა შეუნელებელი ყურადღების საგანი იყო და იქნება. ახლა ამისთვის განსაკუთრებით ხელსაყრელი შესაძლებლობანი გვაქვს. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი ძირეულად უცვლის იერს ჩვენს საწარმოებს, ცვლის შრომის ხასიათსა და შინაარსს. მატულობს სახელმწიფო ასიგნებანი შრომის დაცვის, სპეციალური ტანსაცმლითა და ფეხსაცმლით მუშაკთა უზრუნველყოფის ღონისძიებებისათვის. სახალხო მეურნეობის ყველა დარგში ყოველწლიურად კლებულობს საწარმოო ტრავმატიზმი.

ამასთანავე ცალკეული სამინისტროებისა და უწყებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებს ჯეროვანი დასკვნები არ გამოუტანიათ შრომის დაცვისა და უსაფრთხოების ტექნიკისადმი ყურადღების გაძლიერების შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და მთავრობის მითითებებიდან.

მომხსენებელი განსაკუთრებით შეეხო ისეთ დიდმნიშვნელოვან საკითხს, როგორიც არის შრომის კანონმდებლობის დაცვისადმი კონტროლის განხორციელება. პროფკავშირებს აქ ფართო უფლებები და შესაძლებლობანი აქვთ. მაგრამ, სამწუხაროდ, ყველა პროფკავშირული ორგანიზაცია სათანადოდ არ სარგებლობს ამ უფლებებითა და შესაძლებლობებით, ყოველთვის არ იჩენს საჭირო პრინციპულობას.

პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა, პროფკავშირების საბჭოებმა და კომიტეტებმა, შრომის სამართლებრივმა ინსპექციამ მეტი სიმტკიცე უნდა გამოიჩინონ მუშათა, კოლმეურნეთა და მოსამსახურეთა უფლებების დაცვაში, მეტი კონტროლი გაუწიონ შრომის კანონის დაცვას.

საანგარიშო პერიოდში პროფკავშირები დღენიადაგ მუშაობდნენ მშრომელთა საბინაო პირობებისა და ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების საკითხებზე. მარტო შარშან საბინაო პირობები გაიუმჯობესა დაახლოებით თერთმეტმა მილიონმა კაცმა. მიმდინარე ხუთწლედში უნდა აშენდეს 550 მილიონი კვადრატული მეტრი საერთო ფართობის საცხოვრებელი სახლები, კვლავ განვითარდება საბავშვო ბაგა-ბაღების ქსელი. უმჯობესდება ყოფა-ცხოვრება მუშათა საერთო საცხოვრებლებში. ფართოვდება საოჯახო შრომის შემამსუბუქებელი მომსახურების სახეობანი და იზრდება მისი მოცულობა.

მაგრამ მთელ რიგ შემთხვევებში მთლიანად არ არის გამოყენებული უდიდესი სახსრები და რესურსები, რომლებსაც ამ მიზნით გამოჰყოფს სახელმწიფო. პროფკავშირთა ცენტრალური კომიტეტები და საბჭოები საჭირო ღონისძიებებს არ ახორციელებენ, რათა საბინაო-საყოფაცხოვრებო ობიექტების მშენებლობა და საექსპლოატაციოდ გადაცემა წარმოებდეს მაღალხარისხოვნად და დადგენილ ვადებში, სათანადო მომთხოვნელობას არ იჩენენ სამეურნეო ხელმძღვანელებისადმი.

შემდეგ მომხსენებელი შეეხო პროფკავშირთა ამოცანებს, რომლებიც ეკისრებათ მშრომელთა სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურების სრულყოფის, სოციალური დაზღვევისა და საპენსიო უზრუნველყოფის შემდგომი განვითარების საქმეში. მან განაცხადა, რომ გასულ ხუთწლედში გაიზარდა მოხუცებულობის გამო პენსიათა მინიმალური ოდენობა, I და II ჯგუფების ინვალიდთა პენსიები, აგრეთვე მარჩენალდაკარგული ოჯახების პენსიები. სახელმწიფომ გააძლიერა მრავალმხრივი დახმარება დედისა და ბავშვის დაცვაში. მუშათა, მოსამსახურეთა და კოლმეურნეთა სოციალური საჭიროებისათვის დაიხარჯა დაახლოებით 110 მილიარდი მანეთი, ანუ ერთნახევარჯერ მეტი, ვიდრე გასულ ხუთწლეულში. საკავშირო პროფსაბჭო პროფკავშირთა საბჭოებისა და კომიტეტების საქმიანობას წარმართავდა ამ სახსრების სწორი და მომჭირნედ ხარჯვისადმი კონტროლის გაძლიერებისათვის.

სოციალურ ამოცანებს შორის, ხაზგასმით აღნიშნა მომხსენებელმა, იმაზე მნიშვნელოვანი არა არის რა, ვიდრე ზრუნვა საბჭოთა ადამიანების ჯანმრთელობისათვის. პროფკავშირული ორგანიზაციები ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებთან ერთად დიდ მუშაობას ეწევიან წარმოებაში მუშათა და მოსამსახურეთა დაავადების პროფილაქტიკისა და შემცირებისათვის.

საანგარიშო პერიოდში მნიშვნელოვანი მუშაობა განხორციელდა მშრომელთა სანატორიულ-საკურორტო მკურნალობის, ორგანიზაციული დასვენებისა და ტურიზმის განვითარებისათვის. ამ ხუთწლედში დასახულია სანატორიულ-საკურორტო საქმისა და ტურიზმის შემდგომი განვითარების ვრცელი პროგრამა. ამისათვის პროფკავშირთა ხაზით გამოიყოფა 1,4 მილიარდი მანეთი.

სოციალიზმის პირობებში პროფკავშირებს უდიდესი შესაძლებლობანი აქვთ საბჭოთა ადამიანების შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობების შემდგომი გაუმჯობესებისათვის. ფართოდ იყენებენ რა ამ შესაძლებლობებს, საბჭოთა პროფკავშირები მოწოდებული არიან დღენიადაგ ზრუნავდნენ იმისათვის, რომ საბჭოთა ადამიანების ცხოვრების დონის ასამაღლებლად გამოყოფილი სახსრები მთლიანად იყოს გამოყენებული, იხარჯებოდეს დანიშნულებისამებრ, ხმარდებოდეს ხალხის კეთილდღეობის შემდგომ გაუმჯობესებას. ამაში განსაკუთრებით მკაფიოდ ჩანს ჩვენი პროფკავშირების დამცავი ფუნქციები, რომლებიც განვითარებული სოციალიზმის პერიოდში სულ უფრო მეტად იძენენ ახალ შინაარსს, სულ უფრო კონკრეტული საქმეებით გამოიხატებიან.

საანგარიშო პერიოდში, თქვა შემდეგ საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარემ, პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა პარტიული ორგანოების ყოველდღიური დახმარებისა და მხარდაჭერის მეოხებით განახორციელეს მასების კომუნისტური აღზრდისათვის მუშაობის შემდგომი სრულყოფის ღონისძიებანი.

პროფკავშირული ორგანიზაციები ფართოდ მონაწილეობენ სკკპ XXV ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის ოქტომბრის პლენუმის გადაწყვეტილებებისა და მასალების, „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავის შესახებ" სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების პროპაგანდაში, ახორციელებენ ორგანიზაციულ და საგიტაციო-პროპაგანდისტულ ღონისძიებებს ამ სახელოვანი იუბილეს მომზადებისა და მოწყობისათვის.

პროფკავშირები ბეჯითად მუშაობენ იმისათვის, რომ არსებითად აამაღლონ თავიანთი აღმზრდელობითი საქმიანობის ეფექტიანობა. ამ მიზნის მიღწევის გზა, როგორც ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა აღნიშნა, ეს არის კომპლექსური მიდგომა აღზრდის მთელი საქმის დაყენებისადმი, ესე იგი იდეურ-პოლიტიკური, შრომითი და ზნეობრივი აღზრდის მჭიდრო ერთიანობის უზრუნველყოფა მშრომელთა სხვადასხვა ჯგუფის თავისებურებათა გათვალისწინებით.

ორატორმა აღნიშნა, რომ მარქსიზმ-ლენინიზმის მასობრივი შესწავლა თანამედროვე ეტაპზე საზოგადოებრივი შეგნების განვითარების უმნიშვნელოვანესი თავისებურებაა და განაცხადა, რომ ახლა ჩვენი ქვეყნის პროფკავშირთა ყოველი მეორე წევრი ჩაბმულია სხვადასხვა ფორმის პოლიტიკურ განათლებაში.

დიდი პასუხისმგებლობა ეკისრებათ პროფკავშირებს შრომითი აღზრდის გაუმჯობესებისათვის. აქ, უეჭველია, წამყვანი როლი ეკუთვნის შრომით კოლექტივს. ამოცანა ის არის, რომ მისი ძალა გამოვიყენოთ უფრო ეფექტიანად და მიზანმიმართულად.

შრომითი კოლექტივების სიამაყეა წარმოების მოწინავენი და ნოვატორები. მათი მაგალითით, თქვა ა. ი. შიბაევმა, უნდა აღვზარდოთ ყველა მუშაკი, დავეხმაროთ საზოგადოებრივი და საწარმოო აქტივობის განვითარებაში.

ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანა, რომელიც აქ ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევმა დაგვისახა, არის შრომის დისციპლინის ყოველნაირი განმტკიცება. ამ მიზნით საჭიროა უფრო ფართოდ ვუყრდნობოდეთ საზოგადოებრივ აზრს, კიდევ უფრო ავამაღლოთ კეთილსინდისიერი, თავდადებული შრომის პრესტიჟი. მეორე მხრივ, უნდა მივაღწიოთ, რომ ყოველგვარი გადახვევა ჩვენი მორალური ნორმებისაგან პრინციპულად ფასდებოდეს შრომითს კოლექტივში. პრაქტიკა მოწმობს, რომ იქ, სადაც აქტიურად გამოყენებულია კოლექტიური ზემოქმედების ისეთი ნაცადი საშუალებები, როგორიც არის მუშათა კრებები, კადრების საზოგადოებრივი განყოფილებანი, მუშათა ღირსების საბჭოები, თვალსაჩინო აგიტაციის საშუალებები, — იქ მიღწეულია დადებითი შედეგები.

ახალი ადამიანის ჩამოყალიბებაში დიდ როლს ასრულებენ კომუნისტური შრომის სკოლები. ახლა 400 ათას ასეთ სკოლაში სწავლობს 10,5 მილიონი კაცი. პროფკავშირთა საბჭოებმა და კომიტეტებმა კვლავაც თანმიმდევრულად უნდა გააფართოონ მათი ქსელი, უწინარეს ყოვლისა სოფლად.

თანამედროვე პირობებში იზრდება ეკონომიკური განათლების მნიშვნელობა. საჭიროა, რომ ეკონომიკურმა სწავლებამ სულ უფრო ქმედითი ხასიათი შეიძინოს, ორგანულად იყოს შეხამებული მიღებული ცოდნის პრაქტიკულ გამოყენებასთან, წარმოების ეფექტიანობის ამაღლების საკითხების გადაწყვეტაში ყველა მშრომელის ფართო ჩაბმასთან.

პროფკავშირები კომკავშირთან ერთად დიდ ყურადღებას უთმობენ მოზარდი თაობის შრომითს აღზრდას. მასობრივი ხასიათი შეიძინა დამრიგებლობის მოძრაობამ. ყრილობის სახელით მომხსენებელმა მხურვალე მადლობა გადასცა შრომის ვეტერანთა, წარმოების მოწინავეთა მრავალათასიან არმიას, რომლებიც ახალგაზრდობას გულუხვად უზიარებენ ფასდაუდებელ შრომითს და პოლიტიკურ გამოცდილებას, არ იშურებენ ძალ-ღონეს ახალგაზრდა მუშათა ცვლის აღზრდისათვის.

პროფკავშირთა წინა ყრილობაზე ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევმა ხაზი გაუსვა, თუ რა მნიშვნელობა აქვს თავისუფალი დროის სწორ გამოყენებას თვითეული ადამიანის ნიჭის ყოველმხრივი განვითარებისათვის.

ახლა მილიონობით მშრომელი თავისუფალ დროს ახმარს სწავლას, თვითგანათლებას, მეცნიერულ-ტექნიკურ შემოქმედებაში, თვითმოქმედ ხელოვნებაში მონაწილეობას, ტურიზმსა და სპორტს. განმტკიცდა პროფკავშირთა კულტურის სახლებისა და სასახლეების, კლუბებისა და ბიბლიოთეკების კავშირი შრომითი კოლექტივების ცხოვრებასთან. როგორც სოციალისტური კულტურის, სსრ კავშირის ხალხთა მრავალეროვანი ხელოვნების დიდი საყოველთაო-სახალხო ზეიმი მიმდინარეობს მშრომელთა თვითმოქმედი მხატვრული შემოქმედების პირველი საკავშირო ფესტივალი, რომელიც დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავს ეძღვნება.

პროფკავშირული მოძრაობის განვითარება, განაგრძო მომხსენებელმა, არასოდეს და არსად მსოფლიოში ისე სწრაფად არ განხორციელებულა, როგორც საბჭოთა ხელისუფლების დროს. ექვსი ათეული წლის მანძილზე პროფკავშირების რიცხვი 113,5 მილიონამდე გაიზარდა. ახლა ჩვენს პროფკავშირებში ნებაყოფლობით გაერთიანებულია პრაქტიკულად მთელი მუშათა კლასი, მთელი სახალხო ინტელიგენცია, სოფლის მშრომელთა მრავალრიცხოვანი რაზმი. მათში წამყვანი ადგილი უჭირავს 74-მილიონიან გმირ მუშათა კლასს.

ახლა სულ უფრო ფართოდ ხორციელდება ვ. ი. ლენინის მიერ წამოყენებული ამოცანა, რომ პროფკავშირები გადაიქცნენ კომუნიზმის სკოლად „მუშათა მთელი მასისათვის, შემდეგ კი ყველა მშრომელისათვის".

განვლილი წლების მანძილზე პროფკავშირთა ორგანიზატორული მუშაობა უფრო მიზანდასახული და ეფექტიანი გახდა. პროფკავშირთა საქმიანობის ფართო მომთხოვნელ დათვალიერებად იქცა საანგარიშო-საარჩევნო კამპანია, რომელიც ყრილობას უძღოდა წინ. მან ცხადყო საბჭოთა პროფკავშირების მონოლითური შეკავშირება მშობლიური კომუნისტური პარტიის გარშემო, ცხადყო, რომ პროფკავშირები ერთსულოვნად იწონებენ და მხურვალედ უჭერენ მხარს მის საშინაო და საგარეო პოლიტიკას.

პროფკავშირთა საანგარიშო-საარჩევნო კრებებმა, კონფერენციებმა და ყრილობებმა მაღალორგანიზებულ და საქმიან ვითარებაში ჩაიარა. მათ ახასიათებდა მაღალი პოლიტიკური დონე, პრინციპულობა და კრიტიკული მიდგომა გაწეული მუშაობის შეფასებისადმი.

კრებებსა და კონფერენციებში მონაწილეობდა პროფკავშირთა წევრების 93 პროცენტი. კამათში გამოვიდა 16,5 მილიონზე მეტი კაცი, ანუ ყოველი მეექვსე. მათ გამოთქვეს ბევრი საყურადღებო წინადადება და კრიტიკული შენიშვნა, რომლებიც განხილული და განზოგადებულია, ახლა კი მიმდინარეობს მათი რეალიზაცია. ამავე დროს ანგარიშგება-არჩევნებმა გვიჩვენეს, რომ პროფკავშირულ ორგანიზაციათა ზოგიერთი საბჭო და კომიტეტი ყოველთვის როდი მუშაობს სათანადო ინიციატივით, ზოგჯერ ნაკლოვანებებს ურიგდება.

მოხსენებაში მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო პროფკავშირთა ყველა რგოლის — თავიდან ბოლომდე მუშაობის გააქტიურების ამოცანებს, პირველადი პროფკავშირული ორგანიზაციების მებრძოლურობის ამაღლებას, დარგობრივი პროფკავშირებისა და მათი ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოების საქმიანობის გაუმჯობესებას, პროფკავშირთა კადრების შემადგენლობის გაუმჯობესებას.

უდიდესი სოციალურ-პოლიტიკური მნიშვნელობა, ხაზგასმით აღნიშნა ა. ი. შიბაევმა, აქვს

(დასასრული მე-3 გვ.)

# ამხანაგ ა. ი. შიბაევის მოხსენების დასასრული

პროფკავშირში კოლმეურნე მშრომელთა ფართო მასების შემდგომ გაერთიანებას. გასული წლის სექტემბერში საკავშირო პროფსაბჭომ და სოფლის მეურნეობის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღეს გადაწყვეტილებანი კოლმეურნეობებში პროფკავშირულ ორგანიზაციათა მასობრიობის გადიდების შესახებ. განვლილი დროის მანძილზე 2 მილიონი კოლმეურნე გახდა პროფკავშირის წევრი და ახლა საკოლმეურნეო პროფორგანიზაციები აერთიანებენ 5,6 მილიონ კაცს.

პროფკავშირთა წარმატებული საქმიანობის დიდმნიშვნელოვანი პირობაა მუშაობაში ლენინური სტილის შემდგომი დამკვიდრება. საჭიროა კვლავაც სრულვყოთ მუშაობის ფორმები და მეთოდები, განვამტკიცოთ პროფკავშირული ორგანოების კავშირი მასებთან, განვავითაროთ პროფკავშირული დემოკრატია, კრიტიკა

რაზმთან, ცდილობენ შეაკავშირონ მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალური პროგრესისათვის მებრძოლი მთელი ძალები.

საბჭოთა პროფკავშირები ცდილობენ დაეხმარონ იმას, რომ საერთაშორისო დაძაბულობის შენელება სახელმწიფოთა ურთიერთობის განვითარების მთავარი ტენდენცია გახდეს. ისინი დარწმუნებული არიან, რომ დაძაბულობის შენელება ყველაზე ხელშემწყობ პირობებს შექმნის სხვადასხვა ორიენტაციის პროფკავშირთა თანამშრომლობის ფართო განვითარებისათვის. პრაქტიკა მოწმობს, რომ პროფკავშირული კავშირურთიერთობის განვითარებამ თავის მხრივ გავლენა მოახდინა და კვლავაც ახდენს საერთაშორისო პოლიტიკური კლიმატის გაჯანსაღებაზე.

საბჭოთა პროფკავშირები, თქვა მომხსენებელმა, ყოველნაირად უჭერენ მხარს ჰელსინკის სრულიად ევროპის თათბირის შედე-

[...]

ისინი ყოველთვის მხარს უჭერენ ყველა ქვეყნის მშრომელთა კლასობრივ სოლიდარობას, ურთიერთდახმარებასა და თანამშრომლობას, აქტიურად ავითარებენ კავშირს მსოფლიო პროფკავშირული მოძრაობის სხვადასხვა

[...] ზღვარგარეთ.

განსაკუთრებით მიზანდასახულად ვითარდება თანამშრომლობა სოციალისტური ქვეყნების პროფკავშირებთან. იგი დღეს ხორციელდება ყველა დონეზე — საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტები-

[...]

რომელნიც თავს მაღალ და პასუხსაგებ ამოცანებს, რომლებიც სკკპ XXV ყრილობამ დაუსახა.

**(ა. ი. შიბაევის მოხსენება დამსწრეთ ყურადღებით მოისმინეს. მოხსენების დროს არაერთხელ გაისმოდა ტაში).**

## პროფკავშირების XVI ყრილობის დელეგატის ბრიგადაში

**გამალებით, მწყობრად ტრიალებს თითისტარები... ინდუსტრიის სამსახურში ჩამდგარა რგოლიანი სართავი მანქანები. თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატის „საბჭოთა საქართველოს“ კამვოლის საწარმოში ვართ. შევცქერით მანქანებსა და ადამიანებს, რომლებიც სახალხო დოვლათს ქმნიან. აქ თვითეულ მრთველს ნორმით 300 თითისტარი აბარია. მაგრამ, მათს მომსახურების ზონაში ზოგჯერ 400 და, თუ გაჭირდა, 500 თითისტარიც არის! გარემოებას გააჩნია, ეს მაშინ, თუ უეცრად ვინმე ავად გახდა ან სხვა მიზეზით სამუშაოზე ვერ გამოცხადდა, მოგეხსენებათ, ახლა არც საქმეს და არც ამხანაგს არ ელალატება, განსაკუთრებით ისეთ მეგობრულ კოლექტივში, რომლის საქმიანობასაც საფუძვლად უდევს დევიზი: ერთი — ყველასათვის, ყველა — ერთისათვის!**

გრძელ, მოგუგუნე დაზგას ლეილა წიკლაური ადევნებს თვალყურს, გამალებით ცვლის მასრებს, თვალს ვერ შეასწრებ, რომ ძაფი უკვე განასკვა და ახლა სხვა საზრუნავს ჩაჭკირკიტებს მკვირცხლი ქალიშვილი; თითქოს ეს ძაფები უხილავად მის ნერვებთან იყოს დაკავშირებული, უწვრილესი აბლა-

[...]

**ობიდან თაობას გადაეცემოდა, რაშიც ცხადია, დიდი წვლილი თვით ბრიგადის ხელმძღვანელს მიუძღვის.**

— წარმატებისათვის მთავარია შრომის სწორი ორგანიზაცია, სისტემატური კონტროლი და, რაც მთავარია, აღმზრდელობითი მუშაობა, — ამბობს ქველოსტატი, — ზოგიერთ აღმზრდელ-

[...]

## ოსტატი და მისი მიმდევრები

## დროშა — ნატანებლებს

მახარაძე. (საკ. კორ.). სოფელ ნატანების ვ. ი. ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მშრომელებმა სასახელო წარმატებით დაამთავრეს 1976 სამეურნეო წელი, მოკრიფეს და სახელმწიფოს ჩააბარეს 4.375 ტონა ჩაის ნედლეული, 4.056 ტონა ციტრუსოვანთა ნაყოფი, — 487 ტონა ტუნგი. წარმატებით შესრულდა სხვა ერთწლიანი და მრავალწლიანი კულტურების მოსავლიანობის დავა-

[...]

## კონკურსის გამარჯვებული

[...]



# ვის აძლევს ეს ხელს?

უკანასკნელ წლებში საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში მოხდა თვისებრივი წინსვლა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტისა და საქართველოს პარტიული ორგანიზაციის მუშაობის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებები რესპუბლიკაში სოციალისტური მეურნეობის გაძღოლის, სოციალისტური მშენებლობის ყოველ უბანზე პარტიულ-ორგანიზაციული, პოლიტიკური და იდეოლოგიური მუშაობის ნორმების აღდგენის გაშლილი პროგრამაა. არ ყოფილა არცერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება, რომლის ანგარიში არ დაბეჭდილიყოს პრესაში, შეიძლება ითქვას, არ ყოფილა და არც არის რესპუბლიკური გაზეთის ნომერი, სადაც არ გამოქვეყნებულიყოს კრიტიკული მასალა და არ აღნიშნულიყოს კონკრეტული ნაბიჯები, რომლებიც რესპუბლიკის სამეურნეო თუ კულტურული ცხოვრების განვითარების გზაზე გადაიდგა.

პარტიული ცხოვრების ნორმათა და სახელმწიფო დისციპლინისა თუ მართლწესრიგის განმტკიცების ღო-

[...]

ჭოური სტატიებით, მაგრამ თვით თანამემამულე ემიგრანტებმა ატეხეს ყიჟინა. „დემოკრატიისათვის მებრძოლი“ უმუშევარი არ დარჩენილა, იგი მიუნხენში, რადიოსადგურ „თავისუფლების“ რედაქციაში გადაბარგდა და ხშირად ჩადის პარიზში, სახელდობრ, რესტორან „ოქროს ვერძში“, სადაც თავის ახალ შეფს — ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს აგენტს რალისს ხვდება ხოლმე. შეფის ნამდვილი სახელი და გვარია მარკ იზრაელი, მისი სპეციალობაა საფრანგეთის სიონისტური ორგანიზაციების, თეთრი ემიგრანტების და უკანასკნელ წლებში საბჭოთა კავშირიდან გადახვეწილი ზოგიერთი გარეწრის გამოყენება ჯაშუშური ინფორმაციის მისაღებად. მას ანტისაბჭოური გამოცემების შექმნის დიდი გამოცდილება აქვს: რადიოსადგურ „თავისუფლება“ ხომ მათ თავის გადაცემების წყაროდ იყენებს! აქ მარტივი მექანიკა მოქმედებს: შეთითხნილი „ფაქტები“ ჯერ ჟურნალებში ქვეყნდება, შემდეგ კი, როგორც „საბუთი“, რადიოსადგურ „თავისუფლების“ მიკროფონის საშუალებით ეთერში გადაიცემა.

[...]

# მეგობრობის პოეტური ხიდი

[...]

22 მარტი

# მსოფლიოს ამბები
## ფაქტები ● პრობლემები

# არჩევნები დამთავრდა

ინდოეთში გამართული არჩევნების წინასწარი შედეგები

**დელი, (საკდესი). ინდოეთში დამთავრდა პარლამენტის სახალხო (ქვედა) პალატის არჩევნები.** არჩევნები 16-დან 21 მარტამდე მიმდინარეობდა. ამ მომენტში ცნობილია 542 საარჩევნო ოლქიდან 328 ოლქში შეჯამებული შედეგები. საბოლოო შედეგები 22 მარტს საღამოს გაირკვევა.

გამოქვეყნებული მონაცემების თანახმად, პარლამენტში ადგილები ასე განაწილდა: ინდოეთის ეროვნული კონგრესი (მმართველი პარტია) — 120 დეპუტატის ადგილი, ტამილთა რეგიონული პარტია ადმკ, რომელიც ინდოეთის ეროვნულ კონგრესთან ერთად გამოდიოდა — 18 ადგილი, ინდოეთის კომპარტია — 6 ადგილი. ოპოზიციის ბლოკის — ჯანატა პარტის კანდიდატებმა მიიღეს 148 ადგილი, დემოკრატიის მომხრე კონგრესის კანდიდატებმა — 8, დანარჩენებმა — 28 ადგილი.

ინდოეთის სამაჩარის სააგენტო იუწყება, რომ ინდოეთის ეროვნული კონგრესის პარტიის მთელი რიგი ლიდერები აღარ აირჩიეს თავიანთ საარჩევნო ოლქებში. მათ შორისაა პრემიერ-მინისტრი ინდირა განდიც. მისმა მეტოქემ, ჯანატა პარტის წარმომადგენელმა რაჯ ნარაინმა მეტი ხმა მიიღო. დამარცხდა აგრეთვე ახლანდელი მთავრობის სამი მინისტრი — თავდაცვის მინისტრი ბანსი ლალი, იუსტიციის მინისტრი ჰ. რ. გოქჰალე და კომუნიკაციების მინისტრი შ. დ. შარმა.

ჯერ მთლიანად არ არის დაჯამებული ხმები უტარ-პრადეშში, ბიჰარისა და ჩრდილოეთის შტატებში. ახლანდელი მთავრობის წევრთაგან ამ მომენტში გამარჯვება მოიპოვა ექვსმა მინისტრმა, მათ შორის არიან საგარეო საქმეთა მინისტრი ი. ბ. ჩავანი, შინაგან საქმეთა მინისტრი ბ. რედი, ფინანსთა მინისტრი ჩ. სუბრამანიამი.

21 მარტს ქვეყნის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა ბ. დ. ჯატიმ გამოაცხადა, რომ გაუქმებულია საგანგებო წესები, რომლებიც 1975 წლის 26 ივნისს იქნა შემოღებული.

# სამარცხვინო გადაწყვეტილება

**ლონდონი, (საკდესი). ინგლისის საზოგადოებრიობამ აღშფოთებით აღიქვა შინაგან საქმეთა მინისტრის მ. რისის გადაწყვეტილება გაასახლოს ქვეყნიდან ორი სამხრეთაფრიკელი პატრიოტი, რომლებიც ცდილობდნენ პოლიტიკური თავშესაფარი ეპოვათ დიდ ბრიტანეთში.** 28 წლის პვეინ ლაუე და 27 წლის ლოურენს ბარტლეტი ჯარში გაიწვიეს რასისტებმა, მაგრამ ისინი არ დაემორჩილნენ ბრძანებას, მოსპეს გასაწვევი უწყებები, გაიქცნენ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკიდან და თავშესაფარი სთხოვეს ინგლისის მთავრობას. მიგვაჩნია, ხაზი გაუსვა ქ. ლაუემ და ლ. ბარტლეტმა, რომ ბრძოლა, რომელსაც სამხრეთ აფრიკის ხალხები ეწევიან რასიზმის ბორკილების დამსხვრევისათვის, სავსებით სამართლიანია. ჩვენ არ გვსურს ვიყოთ ფორსტერის რეჟიმის მხარეზე.

რამდენიმე თვეს იხილავდა სამინისტრო მათ თხოვნას, და აი ამ დღეებში მათ აცნობეს, რომ უნდა დატოვონ დიდი ბრიტანეთი.

სამინისტროს გადაწყვეტილება მკაცრად გააკრიტიკა პარლამენტის დეპუტატმა რობერტ ჰიუზმა. მ. რისისათვის გაგზავნილ წერილში მან მოითხოვა გადასინჯონ ორი პატრიოტის თხოვნა. როცა პოლიტიკურ თავშესაფარზე უარს ეუბნება იმათ, ვისაც არ სურს იმსახუროს თეთრკანიანი უმცირესობის რეჟიმთა ჯარებში, ხაზი გაუსვა რ. ჰიუზმა, დიდი ბრიტანეთის მთავრობა, არსებითად, მხარს უჭერს ამ რეჟიმებს.

# ტ. ფუკუდას ვიზიტი

**ვაშინგტონი, 21 მარტი. (საკდესი). ამერიკის შეერთებულ შტატებში ოფიციალური ვიზიტით ჩამოვიდა იაპონიის პრემიერ-მინისტრი ტ. ფუკუდა,** რომელიც 21-22 მარტს მოლაპარაკებას გამართავს პრეზიდენტ ჯ. კარტერთან. თეთრმა სახლმა ოფიციალურ განცხადებაში უაღრესად ლაკონიურად განსაზღვრა მოლაპარაკების დღის წესრიგი: „ორივე მხარისათვის საინტერესო საკითხების განხილვა".

ინფორმირებულ მიმომხილველთა აზრით, მოლაპარაკება ხაიველის ვაშინგტონსა და ტოკიოს შორის სერიოზულ წინააღმდეგობათა ატმოსფეროში. ეს წინააღმდეგობები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სავაჭრო-ეკონომიკურ სფეროში.

დროდადრო წინააღმდეგობები იქცევა „სავაჭრო ომად" ამერიკის შეერთებულ შტატებსა და იაპონიას შორის გასაღების ბაზრებისათვის განუწყვეტლივ გაამწვავებული კონკრეტული ბრძოლის პირობებში. შარშან სავაჭრო ბალანსში აშკარა უპირატესობა ჰქონდა იაპონიას, რომელმაც, ვაჭრობის სამინისტროს წინასწარი მონაცემებით, ოკეანის გაღმა გაიტანა 5 მილიარდი დოლარისაზე მეტი საქონელი, ვიდრე შემოიტანა ამერიკის პროდუქცია.

საკდესი

# მოკლე ცნობები

### მოგზაურობა გრძელდება

● **მაპუტუ. კუბის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, კუბის რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ფიდელ კასტრო, რომელიც მოგზაურობს აფრიკის მთელ რიგ ქვეყნებში, მოზამბიკის ქალაქ ბეირაში ჩავიდა. აეროპორტში მას დახვდნენ მოზამბიკის განთავისუფლების ფრონტის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე, მოზამბიკის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტი სამორა მაშელი, სხვა ოფიციალური პირნი.**

**იმავე დღეს დაიწყო მოზამბიკ-კუბის მოლაპარაკება.**

### სხდომა ჟენევაში

● **ჟენევა. აქ გაიხსნა საბჭოთა კავშირ-ამერიკის მუდმივი საკონსულტაციო კომისიის მორიგი სესია.**

**ამ კომისიამ ხელი უნდა შეუწყოს რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემის შეზღუდვის ხელშეკრულების და სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის 1972 წლის 26 მაისს დადებული სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის დარგში ზოგიერთი ღონისძიების შესახებ დროებითი შეთანხმების, აგრეთვე 1971 წლის 30 სექტემბერს ორ ქვეყანას შორის დადებული ატომური ომის წარმოქმნის საშიშროების შემცირების ღონისძიებათა თაობაზე შეთანხმების მიზნებისა და დებულებების განხორციელებას.**

### შეისყიდიან სსრ კავშირში

● **ბრიუსელი. ბელგიის ავიაკომპანია „ტრაზაქსიონ სერვის ინტერნასიონალმა" მიიღო გადაწყვეტილება შეისყიდოს საბჭოთა კავშირში თვითმფრინავები „იაკ-40". ეს განაცხადა კომპანიის ხელმძღვანელმა სერჟ ტასკენმა. მან ხაზი გაუსვა, რომ მისმა ფირმამ თავისი არჩევანი „იაკ-40"-ზე შეაჩერა მას შემდეგ, რაც გულდასმით გამოსცადა წამყვანი ავიამშენებელი ქვეყნების ანალოგიური კლასის 27 თვითმფრინავი.**

## იბრძვიან უფლებებისათვის




ამერიკელი მშრომელები შეუპოვრად იბრძვიან თავიანთი საარსებო უფლებებისათვის. ბრძოლას განსაკუთრებით ფართო ხასიათი მიეცა ახლა, როცა უკანასკნელ 40 წელიწადში ყველაზე ღრმა ეკონომიური კრიზისის შედეგად მკვეთრად გაიზარდა უმუშევრობა, დაეცა მილიონობით მშრომელის ცხოვრების დონე.

სურათზე: კონექტიკუტის შტატის გაფიცულ მასწავლებელთა პიკეტი. ისინი მოითხოვენ ახალი ხელშეკრულების დადებას, სადაც გათვალისწინებული იქნება შრომისა და ცხოვრების პირობების გაუმჯობესება.

აპ-საკდესის ფოტო.

კულტურის ქრონიკა

# ბალეტ „ჰამლეტის" პრემიერა

**ბერლინი, (საკდესი). როსტოკის სახალხო თეატრის სცენაზე გაიმართა ქართველი კომპოზიტორის რ. გაბიჩვაძის ბალეტის „ჰამლეტის" პრემიერა.** მაყურებელი მქუხარე ტაშით მიესალმა მსახიობებსა და კომპოზიტორს, რომელიც ამჟამად როსტოკში იმყოფება.

რ. გაბიჩვაძის შემოქმედება უკვე მრავალი წლის მანძილზე მჭიდროდ არის დაკავშირებული გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის უდიდეს სანავსადგურო ქალაქთან. ქალაქის მუსიკალურ საზოგადოებრიობაში დიდი პოპულარობა მოიპოვა „როსტოკულმა სიმფონიამ". ახლახან ქალაქის 750 წლისთავთან დაკავშირებით გამართულ საზეიმო კონცერტზე შესრულდა რ. გაბიჩვაძის მეორე კამერული სიმფონია.

# დიდი ინტერესი

### საქართველოს ხელოვნება შვეციაში

**სტოკჰოლმი, (საკდესი).** დიდი მადლობა გადაუხადა გამოფენის „საქართველოს ფერწერისა და გამოყენებითი ხელოვნების" ორგანიზატორებს სტოკჰოლმის კულტურის სახლის დირექტორმა ბენგტ შელინმა ჟურნალ „სოვიეტ კონტაქტში", რომელსაც უშვებს „შვეცია-საბჭოთა კავშირის" საზოგადოებათა კავშირი.

ბ. შელინი აღნიშნავს: „საჭირო არ არის საქართველოს ხელოვნების რეცენზირება. ეს საუკეთესოდ არის გაკეთებული „შვეცია-საბჭოთა კავშირის" საზოგადოებათა კავშირის მიერ გამოცემულ კატალოგში. დარწმუნებული ვარ, რომ გამოფენამ დიდად შეუწყო ხელი შვეციაში საქართველოსადმი ინტერესის ზრდას".

გამოფენის გარდა, საბჭოთა რესპუბლიკის მდიდარ კულტურასთან გაცნობას ხელი შეუწყეს საქართველოს საცეკვაო ანსამბლებმა, რომლებიც ტრიუმფით გამოვიდნენ შვეციის ბევრ ქალაქში.

# ბაზრობა დაიხურა

### 20 ოქროს მედალი საბჭოთა ექსპონატებს

**ლაიფციგი. (საკდესი). დაიხურა ლაიფციგის ტრადიციული საერთაშორისო საგაზაფხულო ბაზრობა.** ერთი კვირის განმავლობაში 60 ქვეყნის 9 ათასამდე საგარეო-სავაჭრო გაერთიანებას, ფირმასა და საწარმოს წარმოდგენილი ჰქონდა აქ თავისი საუკეთესო ნაწარმი. ბაზრობამ, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს ყველა ქვეყანამ, კვლავ ცხადყო სოციალისტური ეკონომიკური ინტეგრაციის დიდმნიშვნელოვანი როლი მთელი სოციალისტური თანამეგობრობისა და ცალკე თითოეული სოციალისტური ქვეყნისათვის.

ბაზრობის დამთვალიერებელთა შორის განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა საბჭოთა კავშირის ექსპოზიცია. წარმოდგენილი 8 ათასი ექსპონატის ნახევარი პირველად იყო გამოფენილი ლაიფციგში. მათ ხარისხს ადასტურებენ ბაზრობის უმაღლესი ჯილდოები — 20 ოქროს მედალი.

თვითმოქმედი ხელოვნების ფესტივალი

# ხალხური ტალანტები დიდ სცენაზე

**დიდი** ოქტომბრის რევოლუციის მე-60 წლისთავს ეძღვნება მშრომელთა მხატვრული თვითმოქმედების პირველი საკავშირო ფესტივალი, რომელზეც წარმოდგენილია მხატვრული თვითმოქმედების ყველა ჟანრი.

ფესტივალი მოეწყო 3 ტურად და იგი ჩვენს რესპუბლიკაში ძირითადად უკვე ჩატარდა. სპეციალურმა ჟიურიმ შეარჩია სახალხო თეატრების საუკეთესო სპექტაკლები დედაქალაქში საჩვენებლად. სულ მონაწილეობას მიიღებს 23 სახალხო თეატრი.

ამ დღეებში თბილისის რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრში მიმდინარეობს სახალხო თეატრების ფესტივალის III ტური.

ფესტივალი გაიხსნა თბილისის გორკის სახელობის კულტურის სახლის სპექტაკლით. წარმოდგენილი იყო გ. პაპიაშვილის პიესა — „რწმენა". სპექტაკლი დადგა ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ლ. გურულმა.

შემდეგ თბილისელმა მაყურებელმა ნახა ზესტაფონის უ. ჩხეიძის სახელობის რაიონული კულტურის სახლის სახალხო თეატრის სპექტაკლი — მ. ბერაძის 3-მოქმედებიანი ტრაგიკომედია „მზე ნეკერჩხლის ტყეში". სპექტაკლის ავტორები არიან რეჟისორი რ. აბესაძე და მხატვარი ჯ. კახნიაშვილი, მუსიკალური მონტაჟი ეკუთვნის ო. გეგუჩაძეს.

ბორჯომის საკავშირო ფესტივალის ლაურეატმა რაიონული კულტურის სახლის სახალხო თეატრმა მაყურებელს უჩვენა ო. რაზმაძისა და ნ. მახარაშვილის 3-მოქმედებიანი კომედია „პირველი მერცხლები". სპექტაკლი დადგა ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ გ. ხმალაძემ, მხატვარია საკავშირო ფესტივალის ლაურეატი ო. ხუციშვილი, სპექტაკლისათვის მუსიკა დაწერეს საქართველოს სსრ სახალხო არტისტმა მ. დავითაშვილმა და საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ მ. ჩირინაშვილმა.

წულუკიძის რაიონული კულტურის სახლის სახალხო თეატრი თბილისის მაყურებლის წინაშე წარდგა ვ. კანდელაკის პიესით „გრძელი დღე". სპექტაკლი დადგა ტ. ხაჟალიამ, მხატვრულად გააფორმა ლ. ჰავჟანიძემ, მუსიკალური გაფორმება ეკუთვნის ნ. კაკაბაძეს.

მიმდინარე დღეებში მაყურებელი იხილავს სამტრედიის რაიონული კულტურის სახლის, სამტრედიის რკინიგზელთა კლუბის, ხულოს რაიონული კულტურის სახლის სპექტაკლებს...

სახალხო თეატრების ფესტივალის მონაწილეთა შორის არიან მუშები, მოსამსახურეები, კოლმეურნეები, პედაგოგები, ექიმები. დედაქალაქის საზოგადოებრიობა მათი ხელოვნებისადმი დიდ ინტერესს იჩენს...

ფესტივალი 9 აპრილამდე გასტანს. შექმნილია ჟიური სსრ კავშირის სახალხო არტისტის ა. ჩხარტიშვილის თავმჯდომარეობით, რომელიც შეაჯამებს შედეგებს.

ფესტივალი გრძელდება.

ა. დევიძე.

# ხარაჩოები ჩამოხსნეს

**ლენტეხი. (საკ. კორ.).** თანდათან შენდება და მშვენდება რაიონული ცენტრი. მას ემატება ახალი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლები, საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტები, საზოგადოებრივი შენობა-ნაგებობანი.

ახლახან სახელმწიფო ბანკის რაიონული განყოფილებისა და შემნახველი სალაროს თანამშრომლებმა ახალმოსახლეობა იზეიმეს, გარდა ამისა ხარაჩოები ჩამოხსნეს სახალხო სასამართლოს ახალ შენობას.

# კინოფილმები მთაში

**ყაზბეგი. (საკ. კორ.).** შარშან ჩვენს რესპუბლიკაში მეორე ადგილი დაიკავა ყაზბეგის კინოფიკაციის განყოფილების კოლექტივმა (დირექტორი ი. ხართიშვილი), რომელმაც საფინანსო გეგმა 118 პროცენტით გაანაღდა. მთის ყველა სოფლის ხშირი და სასურველი სტუმარია მოძრავი კინოდანადგარის მექანიკოსი ნ. ქუშაშვილი, რომელმაც ფულადი შემოსავლის გეგმა 169 პროცენტით გაანაღდა. გადაჭარბებით შეასრულა დავალება ყაზბეგის კინოთეატრმაც.

კინოფიკაციის კოლექტივი ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ ახალი წარმატებებით შეხვდეს ოქტომბრის რევოლუციის მე-60 წლისთავს.

## ამინდი

დღეს დასავლეთ საქართველოში მშრალი ამინდია მოსალოდნელი, რიონის ხეობაში აღმოსავლეთის ქარი იქროლებს, დაბლობ რაიონებში 18-23, მთებში 12-17 გრადუსი სითბო იქნება.

აღმოსავლეთ საქართველოში მშრალი ამინდია მოსალოდნელი, სუსტი ქარი, დაბლობ რაიონებში 15-21, მთებში 7-12 გრადუსი სითბო იქნება.

თბილისში მშრალი ამინდია, ტემპერატურა 19-21 გრადუსი.

## ოლიმპიადა 80-ის ახალმშენებლობანი



მოსკოვში, მშვიდობის პროსპექტის რაიონში აშენდება ახალი სპორტული ცენტრი. აქ იქნება ევროპაში უდიდესი უნივერსალური დახურული სტადიონი და საცურავი აუზი. სტადიონს გამოიყენებენ ოლიმპიური შეჯიბრებებისათვის კრივში და კალათბურთში, შემდეგში კი — სხვადასხვა მასობრივი ღონისძიებებისათვის. სტადიონის ტრიბუნებზე 45 ათასი მაყურებელი მოთავსდება.

ცენტრის პროექტი დამუშავებულია მოსპროექტ-2-ის მუშაკების მიერ.

სურათზე: ახალი სპორტული ცენტრის მაკეტი (უკანა პლანზე).

ვ. ეგოროვის და ა. სტუჟინის ფოტო (საკდესის ფოტოქრონიკა).

ძალოსნობა

# რეკორდები ფიცარნაგზე

**თბილისში** დამთავრდა საქართველოს პირად-გუნდური ჩემპიონატი ძალოსნობაში, რომელშიც თბილისის, ქუთაისის, სამხრეთ ოსეთის, ზუგდიდის, საჩხერის, თელავის, რუსთავის, ახალციხისა და აჭარის სპორტსმენები მონაწილეობდნენ.

გუნდურ ჩათვლაში რესპუბლიკის ჩემპიონის სახელი თბილისის ნაკრებმა მოიპოვა. მეორე ადგილზეა სამხრეთ ოსეთის, მესამეზე — ქუთაისის გუნდი.

ასპარეზობაზე დამყარებული იქნა რესპუბლიკის ოთხი რეკორდი. ერთი მათგანი ეკუთვნის ქვესაშუალო წონის ათლეტს ე. ჯანხოთელს (აკვრაში — 175 კგ), ხოლო სამი — ამავე წონის შტანგისტს ქუთაისელ იუნიორს ნ. პაპიძეს (ატაცში — 122,5 კგ, აკვრაში — 162,5 კგ. და ორჭიდის ჯამში — 285 კგ.).

შ. ბახტაძე.

ფეხბურთი

# საქართველოს პირველობაზე

გაიმართა ფეხბურთში რესპუბლიკის პირველობის მესამე ტურის მორიგი მატჩები პირველი ჯგუფის გუნდებს შორის.

გათამაშების ლიდერმა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდმა პირველი გასვლითი მატჩი გამართა ფოთში ადგილობრივ „კოლხეთთან". სტუდენტებმა პირველი ქულა დაკარგეს — 1:1.

ასეთივე ანგარიშით დამთავრდა ცხაკაიას „ეგრისის" შეხვედრა ხობის „კოლხეთთან". დამაჯერებელი გამარჯვებები მოიპოვეს ყვარლის „დურუჯმა" წულუკიძის „იმერეთთან" (3:1) და ცხინვალის „სპარტაკმა" — თელავის „ნადიკვართან" (2:0).

ხუთი ბურთი იქნა გატანილი ზესტაფონის „მეტალურგისა" და გეგეჭკორის „სალხინოს" მატჩში. ანგარიშით 3:2 გაიმარჯვეს „მეტალურგის" ფეხბურთელებმა. წალენჯიხაში განახლებულ კეთილმოწყობილ სტადიონზე ადგილობრივმა „სქურმა" ანგარიშით 2:1 სძლია ხაშურის „ივერიას". გალის „მზიურმა" მინიმალური ანგარიშით 1:0 დაამარცხა თბილისის „განთიადი".

ფრე იქნა ფიქსირებული შემდეგ მატჩებში: საჩხერის „იბერია" — თბილისის სკა — 2:2, ოჩამჩირის „ამირანი" — ჭიათურის „მაღაროელი" — 1:1, გორის რაიონის „ქართლი" — ტყიბულის „მეშახტე" — 0:0 და საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტი — რუსთავის „მეტალურგი" — 0:0.

სამწუხაროდ, მესამე ტურში აღინიშნა მოთამაშეთა მიერ დისციპლინის დარღვევის რამდენიმე ფაქტი. ასე, მაგალითად, რუსთავის „მეტალურგის" თავდამსხმელი ვ. მაჩუხინი საკავშირო კატეგორიის მსაჯმა ა. ფეიქრიშვილმა მოედნიდან გააძევა. ასეთივე „ბედი გაიზიარეს" თ. ფუტკარაძემ (ზესტაფონის „მეტალურგი") და დ. დარჯანიამ („სალხინო"), რომლებმაც ერთმანეთს მიაყენეს შეურაცხყოფა. უფრო „შორს წავიდა" თელაველი ფეხბურთელი ს. ქელეხიძე, რომელმაც ფეხი ჩაარტყა მეტოქეს. ცხადია, რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯმა ვ. მიმინოშვილმა იგი მოედნიდან გააძევა.

ვ. შავდია,
საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

## ორიოდე სიტყვით

**ძალოსნობა.** ვილნიუსში საერთაშორისო შეჯიბრება „მეგობრობის თასზე" პირველი ქვემძიმე წონითი კატეგორიის ათლეტთა დავა მოიგო კიეველმა სერგეი პოლტორაცკიმ — 365 კილოგრამი.

**ფრენბურთი.** თბილისში გაიმართა ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის („ა" კლასის პირველი ლიგა) მორიგი მატჩები. თბილისის „სპარტაკმა" უმასპინძლა ტაშკენტის „დინამოს". პირველი მატჩი მოიგეს სტუმრებმა — 3:1, მეორე — მასპინძლებმა — 3:0.

**ჩოგბურთი.** საბჭოთა ჩოგბურთელებმა კაიროში გაიმარჯვეს „ერების თასის" ტრადიციულ გათამაშებაში — გადამწყვეტ მატჩში მათ ანგარიშით 7:5 დაამარცხეს გფრ-ის ნაკრები.

**წყალბურთი.** ძერჟინსკში, „ხიმიკის" საცურაო აუზში გაიმართა უმაღლესი ლიგის გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მორიგი მატჩი კიევისა და თბილისის „დინამოს" შორის. ანგარიშით 7:6 (1:1, 2:1, 2:2, 2:2) გაიმარჯვეს უკრაინელმა წყალბურთელებმა.

მსოფლიოს პირველობა ჭადრაკში

# საკმარისია ერთი შეცდომაც და...

მსოფლიოს ჩემპიონობის 8 პრეტენდენტის ბრძოლა გადამწყვეტ ფაზაში შევიდა.

ცნობილმა იუგოსლაველმა ჟურნალისტმა ბელიცამ თხოვნით მიმართა მსოფლიოს ექს-ჩემპიონ პეტროსიანს თავისი აზრი გამოეთქვა მატჩების მიმდინარეობის შესახებ.

— ლარსენის თამაში როტერდამში ძალზე არათანაბარია. ზოგ პარტიაში იგი ბრწყინვალე იყო, ზოგში კი ისე მოქმედებდა, თითქოს მსუბუქ პარტიას თამაშობსო. რაც შეეხება პორტიშს, იგი მოქმედებს თანაბრად, თავისი ჩვეულებრივი ძალით.

პეტროსიანს, უნდა ვიფიქროთ, მოეწონა დანიელი დიდოსტატის მიერ ვირტუოზულად წარმართული ეტლების ენდშპილი მატჩის მესამე პარტიაში. რაც შეეხება მეოთხე პარტიას, სადაც ლარსენმა სათანადო მომზადების გარეშე წამოიწყო იერიში, იგი მსოფლიოს ექს-ჩემპიონს აშკარად არ მოსწონს, როგორც განუცხადა კიდეც ბელიცას, რომლის კორესპონდენციები ახლა იუგოსლავიის რამდენიმე გაზეთში ქვეყნდება.

პეტროსიანმა არ გაიზიარა მრავალი მიმომხილველის აზრი, რომლებიც გაოცებას გამოთქვამენ მეკინგის წარუმატებელი თამაშით ლიუცერნში პოლუგაევსკის წინააღმდეგ.

— ბევრი ფიქრობდა, რომ მეკინგი იოლად გაუსწორდებოდა პოლუგაევსკის, მაგრამ მე ასე არ მიმაჩნდა. მე თვით მითამაშია მატჩი პოლუგაევსკისთან და მშვენივრად ვიცნობ მის ძალას. დღეისათვის პოლუგაევსკის ამ მატჩში უკეთესი შესაძლებლობები აქვს.

შემდეგ პეტროსიანი გადავიდა რეიკიავიკის მატჩის დახასიათებაზე:

— სპასკიმ გვიჩვენა, რომ როდესაც საჭიროა, იგი სათანადო მზადყოფნას აღწევს. მას დიდი ხელოვნება აქვს, ორჯერ გაიმარჯვა პრეტენდენტთა სწორედ ასეთ შესარჩევ შეჯიბრებებში. რაც შეეხება მატჩებს მსოფლიოს პირველობაზე, ისინი სპასკიმ უკვე სამჯერ ითამაშა. ჩემი აზრით სპასკი ფავორიტია რეიკიავიკში.

ამასობაში მოსკოვის ყოველკვირეულ „64"-ის რედაქცია დაუკავშირდა რეიკიავიკს და ესაუბრა სპასკის სეკუნდანტს, მსოფლიოს ექს-ჩემპიონ სმისლოვს.

— როგორ მიმდინარეობს მატჩი? საერთოდ, ნორმალურად... როგორც ჩანს, რეკორდი გათამაშებული პარტიების რაოდენობის მიხედვით ჩვენ გვეკუთვნის, ე. ი. სპასკისა და ჰორტს. მართალია, ბევრი ყაიმია, მაგრამ რას იზამ... წაგება არავის უნდა. მას შემდეგ, რაც სპასკიმ გახსნა ანგარიში, შეიძლებოდა იმის მოლოდინი, რომ ჩეხოსლოვაკიელი დიდოსტატი გააფთრებულ შეტევაზე გადმოვიდოდა. მაგრამ სამმა მომდევნო პარტიამ გვიჩვენა, რომ იგი მოვლენათა ფორსირებას არ ჩქარობდა... უნდა შევნიშნოთ, რომ ცაიტნოტები, რომლებიც პირველ პარტიებს თან სდევდა (ეს განსაკუთრებით ჰორტს ეხება), საერთოდ გაქრა. ჩემი დაკვირვებით, ჩეხოსლოვაკიელი დიდოსტატი ცდილობს ზომიერად იფიქროს. იგი შემართულად გამოიყურება, სადებიუტო სვლებს სწრაფად და დაჯერებით აკეთებს. ერთი სიტყვით, მეტოქე გვიჩვენებს, რომ ნამდვილი ბრძოლა ჯერ კიდევ წინ არის...

საერთოდ კი მატჩი მეტად მეგობრულ ვითარებაში მიმდინარეობს. პარტნიორები ერთმანეთის გვერდით ცხოვრობენ, ერთად სადილობენ და ხშირად მაგიდასთან ხუმრობენ კიდეც ნათამაშევი პარტიების თაობაზე. ისინი ერთად წავიდნენ ექსკურსიაზე ისლანდიის ვულკანების სანახავად.

მატჩს დაწვრილებით აშუქებს პრაღის გაზეთი „ჩესკოსლოვენსკი სპორტი", რომელიც უკავშირდება პრეტენდენტის სეკუნდანტს, ოსტატ ალსტერს და ზოგჯერ თვით ჰორტსაც: გაზეთი აღნიშნავს, რომ ჰორტს არც მონდომება აკლია, არც ნებისყოფა, არც საბრძოლო განწყობილება.

შეხვედრა როტერდამში ლარსენსა და პორტიშს შორის ძალიან მძაფრ ბრძოლაში, მაგრამ უაღრესად კორექტულ ვითარებაში მიმდინარეობს. იმის მიუხედავად, რომ ორგანიზატორებმა სათანადო ფხა ვერ გამოიჩინეს და მოჭადრაკეებს ხშირად ეშლებათ ხელი (მათი დარბაზის მახლობლად ხან მომღერალთა გუნდი გადის რეპეტიციას, ხან ორკესტრი), ისინი არ კარგავენ სიმშვიდეს. ლარსენი თამაშთან ერთად უამრავ კორესპონდენტსაც აძლევს ინტერვიუს. რაც შეეხება პარტიების „მუსიკალურ თანხლებას", სწორედ ამის შესახებ უთხრა ლარსენმა პორტიშს ხუმრობით: „მაშ ასე, ჩვენ ვიწყებთ!" (სიტყვები ლეონკავალოს ოპერა „ჯამბაზების" პროლოგიდან).

პორტიშს ახლა ეხმარება დიდოსტატი ფორინტოში, ლარსენი უსეკუნდანტოდ თამაშობს. საერთო შთაბეჭდილება ისეთია, რომ უნგრელი პრეტენდენტი თეორიულად გაცილებით უკეთ არის მომზადებული. ეს გასაგებიც არის — პორტიში თანამედროვე საჭადრაკო თეორიის ბრწყინვალე მცოდნეა. ამიტომ დანიელი დიდოსტატი ცდილობს, როცა ეს შესაძლებელია, თავი აარიდოს თეორიულ დავას და თამაში გაურკვეველ მიტელშპილში გადაიყვანოს. ამ სფეროში იგი, ეტყობა, რამდენამე სჯობნის თავის მეტოქეს.

მეტად ნერვიული ვითარებაა ლიუცერნში, სადაც თეორიულ დავაში პოლუგაევსკი სულ უფრო და უფრო ხშირად სჯობნის მეკინგს. სწორედ ამით აიხსნება, რომ ბრაზილიელი ძალიან მალე გამოდის წონასწორობიდან, რაც სეკუნდანტის შეცვლაშიც გამოიხატა. ზოგ მიმომხილველს მიაჩნია, მეკინგმა იმდენი ენერგია დახარჯა მატჩისათვის მომზადების წინ, რომ აშკარად გადაიღალაო. ძნელი სათქმელია, რამდენად სწორია ეს აზრი. ყოველ შემთხვევაში, პოლუგაევსკის მიერ მომზადებულ სიურპრიზებს რომ ალღო აუღოს, მეკინგი ძალიან ბევრს ფიქრობს და სასტიკ ცაიტნოტში ხვდება, მაგრამ ამ ცაიტნოტებში კი მეკინგი შემართებულად, ზუსტად და შეუპოვრად თამაშობს და საეჭვო პოზიციებიც კი იხსნა.

ერთი სიტყვით, მატჩებში დაძაბულობამ უმაღლეს წერტილს მიაღწია: მდგომარეობა ყველგან ისეთია, რომ შეიძლება მატჩის ბედი ერთმა შეცდომამაც კი გადაწყვიტოს.

გ. გამრეკელი.

**რეიკიავიკში** მეათე პარტიაში ჰორტმა, რომელიც თეთრებით თამაშობდა სპასკისთან, გაიმარჯვა. ანგარიში გათანაბრდა — 5:5.

ლიუცერნში პოლუგაევსკი-მეკინგის მეცხრე პარტია გადაიდო. ანგარიშია 4,5:3,5 საბჭოთა დიდოსტატის სასარგებლოდ.

ასევე დაუმთავრებელი დარჩა პორტიშ-ლარსენისა (როტერდამში) და კორჩნოი-პეტროსიანის (ჩოკოში) მერვე პარტიები. პორტიში იგებს 4:3, მეორე მატჩში კი ანგარიში თანაბარია — 3,5:3,5.

# „სპორტლოტოს" ტირაჟის შედეგები

**სპორტულ** ლატარიათა მთავარმა სამმართველომ შეაჯამა 19 მარტს მოსკოვში გამართული „შაბათის სპორტლოტოს" ტირაჟების შედეგები.

**1-ლი ტირაჟი:** ხუთი ნომრის გამომცნობნი მიიღებენ 5.000 მანეთს; ოთხისა — 135 მანეთს; სამისა — 5 მანეთს.

**მე-2 ტირაჟი:** ხუთი ნომრის გამომცნობნი მიიღებენ — 5.000 მანეთს; ოთხისა — 212 მანეთს; სამისა — 6 მანეთს.

საქართველოს მონადირეთა და მეთევზეთა მეცხრე ყრილობის დელეგატთა საყურადღებოდ!

საქართველოს მონადირეთა და მეთევზეთა IX ყრილობა გაიხსნება 1977 წლის 25 მარტს, დილის 11 საათზე თბილისში ძერჟინსკის სახელობის კლუბში (ბესიკის ქუჩა №4).

დელეგატების რეგისტრაცია—24 მარტს „მონკავშირის" პრეზიდიუმში (ი. ჭავჭავაძის გამზირი № 75) დილის 9-დან საღამოს 6 საათამდე, ხოლო 25 მარტს ძერჟინსკის სახელობის კლუბში დილის 9 საათიდან.

ცნობების მიღება შეიძლება ტელეფონით: 22-60-10, 22-69-80.

საქართველოს „მონკავშირის" პრეზიდიუმი.

## ტელევიზია

### 23 მარტი

პირველი პროგრამით

10.30 — მეშვიდეკლასელთათვის — ფიზიკა, 11.00 — მხატვრული ფილმი „გიყვარდეს ადამიანი" II სერია, 17.45 — მოსწავლეთათვის — გერმანული ენა, 18.15 — მოსწავლეთათვის — „დიდი გზის დასაწყისი", 19.00 — „ჩვენი სამკითხველო დარბაზი", 20.00 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 20.30 — „საერთაშორისო დღიური", 21.30 — „მოძმე რესპუბლიკების სახალხო ხელოვნება", 22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.35 — სპორტული პროგრამა (თბილისიდან და მოსკოვიდან).

## თეატრი

### 23 მარტი

შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — დღესასწაული ჩვენს სახლებში (სამტრედიის რკინიგზის სახალხო თეატრის სპექტაკლი); კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — იეთიმ გურჯი; ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — ყარამანს ქალი მოჰყავს; ახალგაზრდული დრამატული თეატრი-სტუდია — უბედურება, ურემი.



უნივერმაღი „თბილისი" (რუსთაველის პრ. 2/4) 24 მარტიდან 27 მარტის ჩათვლით გამოფენა-გაყიდვაზე გთავაზობთ ყველაზე სრულყოფილ ტელევიზორს

# „ჰორიზონტი — 107"

ჩვენს ქვეყანაში ერთადერთ ყველატალღიან I კლასის ტელევიზორს ელექტრონული მართვით აქვს ყველაზე დიდი ეკრანი — 67 სანტიმეტრი დიაგონალით.

„ჰორიზონტი — 107" უზრუნველყოფს შავ-თეთრი გამოსახულების მაღალ ხარისხს მეტრული და დეციმეტრული ტალღების 60 არხზე.

„ჰორიზონტ — 107" არხებზე მექანიკური გადამრთველის ნაცვლად დაყენებულია ელექტრონული ბლოკი. სხვადასხვა პროგრამებზე გადართვის დროს საკმარისია ოდნავ შეახოთ ხელი პროგრამების მაჩვენებელს. დანარჩენს ელექტრონიკა აკეთებს.

„ჰორიზონტ — 107" აქვს ორიგინალური აკუსტიკური სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს ხმის მაღალ ხარისხს. იგი გამოიყენება აგრეთვე როგორც გამაძლიერებელი ტელევიზორთან მაგნიტოფონის ან ელექტროგიტარის ჩართვის დროს.

ტელევიზორის მაქსიმალური სიმძლავრე 16 ვატია.

„ჰორიზონტი — 107" დაჯილდოებულია სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის ოქროს მედლით და წარდგენილია სახელმწიფო ხარისხის ნიშანზე.

ტელევიზორი 500 მანეთი ღირს.

ტელევიზორის შეძენა შეიძლება განვადებით 2 წლის ვადით. ტელევიზორის კრედიტით გაფორმების დროს ძველი ჩაბარებული აპარატის ნაცვლად წინასწარი შესატანი თანხა აუცილებელი არ არის. ძველი ტელევიზორები შეიძლება ჩააბაროთ მაღაზიასთან გახსნილ მიმღებ პუნქტში.

გამოფენა-გაყიდვის დროს შეძენილ ტელევიზორებზე საგარანტიო მომსახურების ვადა ერთი წლით იზრდება. ტელევიზორების 5 პროცენტის დახმარებას საგარანტიო ვადა დამატებით ხუთი წელია.

მინსკის საწარმოო გაერთიანება „ჰორიზონტი".

საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრო, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენისა და ლიტერატურის განყოფილება, აკად. გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 87 წლისა გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი არაბისტი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სემიტოლოგიის კათედრის გამგე, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ალექსი სიმონის-ძე ლეკიაშვილი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.


კომუნისტი — ჩვენი მისამართი და ტელეფონები

380096 თბილისი-96, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეების—99 93 03, 99 03 09, პ/მგ მდივნის — 99-72-80, სამდივნოს — ... მრეწველობის — 93-20-34, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, ... ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90, უცხოეთის — 99-60-21, ...

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 უე 09801 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380008 თბილისი-8, ლენინის ქ. 14